www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 9 აგვისტო, 2013 წელი. | №3341 (148) | ფასი 50 თეთრი

აგვისტოს ომის წლისთავი

გუშინ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ ჯარისკაცებს თითქმის მთელმა პოლიტიკურმა კლასმა პატივი მიაგო. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მისმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რუსეთი საქართველოს თავს არ დასხმოდა. თუმცა, სააკაშვილის აზრით, ამის თავიდან აცილების ერთადერთი გზა სახელმწიფოებრიობაზე უარის თქმა იყო. ხოლო, სახელმწიფოებრიობის გარეშე, როგორც პრეზიდენტი ამბობს, საქართველო ომს ვერ გაუძლებდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

5 წლის შემდეგ... სტალინთან ერთად

სოფო კილასონია

დღეს ყველა 2008 წლის აგვისტოს მძიმე დღეებზე საუბრობს. და მაშინ, როცა ამ ომის გამომწვევ მიზეზებზე იწყება საუბარი, რატომღაც მხოლოდ ორი ქვეყნის მმართველის ურთიერთობამდე მივდივართ და არა ამ ქვეყნების იდეოლოგიურ-მენტალურ კონფლიქტზე. პრობლემაა არა მხოლოდ ორი ქვეყნის მენტალური კონფლიქტი, არამედ თავად ქართველი ერის შიგნით არსებულ ზედაპირულ შეხედულებათა და რადიკალურ პოზიციათა შეუთავსებლობა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ასადის კორტეჟი თავდასხმას გადაურჩა

ივა შილაკაძე

ბოლო დღეებში სირიის სხვადასხვა რეგიონებში სამთავრობო არმიასა და ამბოხებულთა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ბრძოლებმა განსაკუთრებით ინტენსიური და მასშტაბური ხასიათი შეიძინა. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებს სხვადასხვა დაჯგუფებები აკონტროლებენ. მოსახლეობის იმ ნაწილს, მაგალითად, ეთნიკურ ქურთებს, რომლებიც სამოქალაქო დაპირისპირებაში მაინცდამაინც აქტიურად არ იყვნენ ჩართულები უკვე მოუნიათ აქტიური თავდაცვა და საკუთარი დასახლებული პუნქტებისთვის ბრძოლა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ეგვიპტის კრიზისს უცხოელი შუამავლები ვერ შველიან

აშშ და ევროკავშირი ეგვიპტელებს თავშეკავებისკენ მოუწოდებენ

ქვეყნის დროებითმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მურსის გადაყენების შემდეგ დაწყებული კრიზისის მოსაგვარებლად უცხოელი შუამავლების ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა. სახელმწიფოს დროებითმა პრეზიდენტმა ადლი მანსურმა და სამხედრო წრეებში მისმა თანამოაზრეებმა მოლაპარაკებები აწარმოეს აშშ-ს, ევროკავშირის, კატარისა და გაერთიანებული არაბული საამიროების დიპლომატებთან.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ადლი მანსური

1 აშშ დოლარი	1.6452⇓
1 ევრო	2.0679⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5746⇓
1 თურქული ლირა	0.9116⇓
100 რუსული რუბლი	5.1083⇓

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	33°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

„ნაციონალური მოძრაობა" ეკონომიკური ინიციატივებით გამოდის

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მმართველ გუნდს ეროვნული თანხმობის აქტის მიღებას და ასევე რამდენიმე ახალ ეკონომიკურ ინიციატივას სთავაზობს.

ახალი ინიციატივებით ხელისუფლებას გუშინ უმცირესობის ლიდერმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ მიმართა. ბაქრაძე ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრის სურვილსაც გამოთქვამს.

„ჩვენ მზად ვართ, ყველა იმ საკითხში, რაც ეკონომიკას, ადამიანების დასაქმებას ეხება, ხელისუფლებასთან ძალიან კოორდინირებულად ვიმუშაოთ, რათა სტაბილურობის განცდა გაჩნდეს და ერთმანეთთან ჩხუბის ნაცვლად, ეკონომიკის განვითარებაზე ვიზრუნოთ. მაგალითად, ჩვენი ინიციატივაა, რომ მივიღოთ ეროვნული თანხმობის აქტი, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გარდამავალ ეტაპზე არსებულ სირთულეებს დაარეგულირებს და თავიდან აგვაცილებს ყველა იმ პრობლემას, რაც დღეს საზოგადოებასა და ეკონომიკას გააჩნია," - განაცხადა ბაქრაძემ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

„დილა" ფლეი ოფშია

გორის «დილამ» მეორე შეხვედრაშიც დაამარცხა სპლიტის «ჰაიდუკი» და რუსეთ-საქართველოს ომის 5 წლის თავზე, თავის გულშემატკივარს კარგი საჩუქარი მიუძღვნა. გორელები ზედიზედ მეორედ გავიდნენ ევროპის ლიგის გათამაშების ფლეი ოფში. შარშან მათ ჯგუფისკენ გზა პორტუგალიურმა «მარიტიმუმ» გადაულობა, წელს კი იმედია «დილა» მოახერხებს ჯგუფში მოხვედრას.

ევროპის ლიგის გათამაშების ფლეი ოფის კენჭისყრა დღეს გაიმართება და გორის «დილასა» და თბილისის «დინამოს» მეტოქეები გაირკვევიან. ქართველი გულშემატკივარი არ არის განებივრებული, როცა ფლეი ოფის ეტაპს ორი გუნდით ხვდება და იმედია ამჯერად ჩვენი გუნდები მოახერხებენ მიზნის მიღწევას.

«დილა» - «ჰაიდუკის» თამაში კი, როგორც მოსალოდნელი იყო დაძაბული გამოდგა. მატჩის წინ გორელთა მწვრთნელი გიორგი დევდარიანი ამბობდა, რომ თამაშს კონტრშეტევებზე ააწყობდა და თავის შანსს დაელოდებოდა.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

გორელებმა გამარჯვებას საფუძველი ხორვატიაში ჩაუყარეს

გორის ცენტრში 760-მა სამხედრო მოსამსახურემ ფიცი დადო

გორში 760-მა სამხედრო მოსამსახურემ ფიცი დადო. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი პირები, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს წევრები, ასევე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ღონისძიებაზე გორის მოსახლეობაც მივიდა.

ოფიციალური ცერემონია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელი ორკესტრის მიერ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით დაიწყო, რის შემდეგაც სამშობლოსთვის გმირულად დაღუპულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

როგორ ცხოვრობენ აგვისტოს ომის დევნილები 5 წლის შემდეგ

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილი მოქალაქეების ნაწილი უკვე მესამე წელია, გორში დევნილთა «ვერხვების» დასახლებაში ცხოვრობს. აქ სულ 300 კოტეჯია. როგორც დევნილები ამბობენ, კოტეჯების დიდი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია. მათი თქმით, მშენებლობისთვის ადგილი არასწორად შეარჩიეს, რადგან აქ ე.წ. მცოცავი ნიადაგია.

«ვერხვების» დასახლებაში მცხოვრები მარინა მაისურაძე News.ge-სთან საუბარში ამბობს, რომ ეს ტერიტორია ყოფილი სამხედრო-სატანკო ნაწილი იყო. აქ არსებული ღრმულები მიწით ამოავსეს და ზედ კოტეჯები დადგეს. მათი საძირკველი კი გამაგრებული არ არის.

როგორც დევნილები ამბობენ, კოტეჯების კედლები სველდება და ობდება, ეს კი მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ამას გარდა, მათი თქმით, სახლები ცუდადაა გადახურული და წვიმის დროს ხშირად წყალი ჩადის.

დევნილების აზრით, თუ კოტეჯებს სარეაბილიტაციო სამუშაოები დაუყოვნებლივ არ ჩაუტარდება, მომავალში მათი უმრავლესობა რეაბილიტაციას აღარ დაექვემდებარება, დასანგრევი და თავიდან ასაშენებელი გახდება.

დევნილები ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად უმუშევრობას ასახელებენ. მათი თქმით, დევნილებისთვის განკუთვნილი 28-ლარიანი დახმარება საკმარისი არ არის. ისინი ამბობენ, რომ მთავრობისგან უყურადღებოდ არიან მიტოვებულები.

აქ მცხოვრებლებმა დასახლების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები თვითნებურად მოიზომეს და ბოსტნეული მოჰყავთ, გააშენეს ხეხილიც. თუმცა ამბობენ, რომ მიწა უნაყოფოა და კარგი მოსავალიც არ მოდის. დევნილებს სურთ, ეს მიწის ნაკვეთები კანონიერ მფლობელობაში გადაეცეთ.

როგორც მარინა მაისურაძემ News.ge-ს უთხრა, მოსახლეობის ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია არ მომხდარა და კარგი იქნება, თუ დევნილთა დასახლებებში ერთი ფსიქოლოგი იქნება.

დევნილების დასახლებაში აშენებულია საბავშო ბაღი, თუმცა ის ჯერ არ ფუნქციონირებს. რაც შეეხება სკოლას, აქ მცხოვრებლების თქმით, ბავშვებს სკოლაში სიარული მოშორებით უწევთ.

რუსეთის საპატრიარქომ აფხაზებს ავტოკეფალიის საკითხის განხილვაზე უარი უთხრა

„რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია პატივს სცემს თითოეული ადამიანის თავისუფალ მრწამსს, ისევე როგორც აფხაზი ხალხის რელიგიურ ტრადიციებს. თუმცა, მისი აღმსარებლობითი ნორმები საშუალებას არ იძლევა, განვიხილოთ ორგანიზაციის და ეკლესიის შიდა პრობლემები მათთან ერთად, ვინც ეკლესიის მიღმა დგას და არ იზიარებს ქრისტიანულ შეხედულებებს," - ასე პასუხობს რუსეთის საპატრიარქოს სინოდის საინფორმაციო განყოფილება აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტთან არსებული სტრატეგიული კვლევების ცენტრის 13 წარმომადგენლის წერილს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილისადმი. ამ წერილის ხელმომწერები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ მორწმუნე აფხაზებს წერილის ავტორებისთვის არ დაუვალებიათ მსგავსი შინაარსის წერილით მიმართვა რუსეთის ეკლესიის წინამძღოლისთვის, ხოლო წერილის გამოქვეყნება, ვიდრე ის ადრესატს გადაეცემა, უპატივცემულობის ჟესტია.

„რუსეთის პატრიარქი თანაგრძნობით ეკიდება აფხაზურ ეკლესიაში არსებულ სიძნელეებს და ცდილობს მათ ნორმალიზებას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ ფარგლებში. წერილის ავტორთა სტატუსი და კომპეტენცია სათანადო საფუძველს არ იძლევა, რომ მათ მიერ დაყენებული საკითხი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან განიხილონ," - ნათქვამია კომენტარში.

„ისღა დაგვრჩენია, გისურვოთ, რომ სამომავლოდ აფხაზეთის საეკლესიო საკითხების გადაჭრის გზები პოლიტიკური ანგაჟირების საკითხი არ გახდეს და მორწმუნეთა შორის ურთიერთგაგება იყოს," - ნათქვამია სინოდის საინფორმაციო განყოფილების განცხადებაში.

„ნაციონალური მოძრაობა" ეკონომიკური ინიციატივებით გამოდის

პირველი გვერდიდან

«ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ინიციატივები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საგადასახადო მიმართულებებად იყოფა.

პოლიტიკური მიმართულება:

• ეროვნული თანხმობის აქტის მიღება, რომლითაც მომავალში დარეგულირდება ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გარდამავალ პერიოდში არსებული პრობლემები;

• უცხოელი ინვესტორების და პარტნიორებისთვის ეკონომიკურ თემებზე კოორდინირებული გზავნილების მიწოდება;

• წინა წლების ეკონომიკური პროექტების და წარმატებების («Doing Business», სხვადასხვა ეკონომიკური რეიტინგები) აღიარება და გაგრძელება;

• ეკონომიკურ საკითხებზე მუდმივი პოლიტიკური კონსულტაციები ბიზნესისთვის სტაბილური გარემოსა და სტაბილურობის განცდის შექმნის მიზნით;

• მთავრობასა და პარლამენტს შორის მეტი კოორდინაცია ახალი ეკონომიკური ინიციატივების მომზადების წინასწარ პროცესში.

ეკონომიკური მიმართულება:

• ბიზნესისთვის საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება - კორუფციული გარიგებების აღმოჩენის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივად მხოლოდ საჯარო მოხელეების და არა ბიზნესის დასჯა;

• მთავრობის მხრიდან ახალი რეგულაციების შემოღებაზე მკაცრი ეკონომიკური ფილტრის დაწესება. კერძოდ, სპეციალური სტრუქტურის შექმნა მთავრობის, პარლამენტის, ბიზნესის, არასამთავრობოების მონაწილეობით, რომელიც ყველა ახალ საკანონმდებლო ინიციატივას შეაფასებს ეკონომიკაზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით (ევროპის ქვეყნებში არსებული «Regulatory Impact Assessment» მოდელის გამოყენებით);

• საწარმოს არაგეგმიური შემოწმების აკრძალვა სასამართლოს ნებართვის გარეშე;

• ეკონომიკური ტიპის დანაშაულებზე წინასწარი პატიმრობის აკრძალვა და მხოლოდ გირაოს გამოყენება;

• საწარმოებისთვის გადასახადების წინასწარი გადახდის იძულების სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადება და კანონით აკრძალვა;

• გადასახადების შემცირების გაგრძელება.

საგადასახადო მიმართულება:

• საგადასახადო რეგულაციების გამარტივება - მცირე ბიზნესისთვის სასაქონლო ზედნადებების გაუქმება;

• გადახდილ გადასახადზე 10%-ზე ნაკლები ცდომილების შემთხვევაში ცდომილების გასწორება დასჯის და ადმინისტრაციული იძულების მექანიზმების გარეშე;

• საგადასახადო შემოწმებების ხანგრძლივობის გონივრული მაქსიმალური ვადის შეზღუდვა;

• საგადასახადო შემოწმებების სიხშირის მკაცრად შეზღუდვა;

• ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისთვის (ფინანსური პოლიცია) საწარმოების შემოწმების აკრძალვა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ საწარმოს მიმართ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საგადასახადო სამსახურის მხრიდან.»

კორტავას საქმეზე კიდევ ერთი პირი დააკავეს

23 მაისს გარდაცვლილი მსჯავრდებულის ლევან კორტავას გარდაცვალების საქმეზე პროკურატურამ კიდევ ერთი პირი დააკავა. ამის შესახებ უწყებამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ გამოძიების ფარგლებში დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების დირექტორის ყოფილი მოადგილე ივერი მიხეილის ძე გოგიბერიძე დააკავეს.

„გამოძიების ამ ეტაპზე არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ივერი გოგიბერიძემ ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება - საქართველოს სსკ-ს 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული და სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3691-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. ბრალდება, დადასტურების შემთხვევაში, 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს," - აღნიშნულია განცხადებაში.

მსჯავრდებული ლევან კორტავა გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მასზე განხორციელებული ძალადობით ქალა-ტვინის დახურული ტრავმის შედეგად განვითარებული ტვინის მკვეთრად გამოხატული შუშუპების გამო 23 მაისს გარდაიცვალა. აღნიშნულ საქმეზე სამართალდამცავებმა უკვე დააკავეს ხუთი პირი.

„მათ გასაგონად, ვისაც ეჭვი ეპარება დასავლეთისადმი ჩემს ერთგულებაში„

მაგდა ლეკიაშვილი

საქართველოს პრეზიდენტს საკუთარ ნათქვამზე განმარტების გაკეთება გუშინ მოუწია. მიხეილ სააკაშვილმა ორი დღის წინ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-თან რუსეთის პრემიერ მედვედევის ინტერვიუს კომენტირებისას თქვა, რომ მზად იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სანაცვლოდ ნატოსა და აშშ-სთან დაახლოებაზე უარი ეთქვა. თუმცა ასეთ წინადადებაზე რუსეთის ხელისუფლებისგან უარი მიიღო. პრეზიდენტის ამ განცხადებას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ინტერვიუს მოსმენის შემდეგ ნაწილმა ეჭვქვეშ დააყენა ევროატლანტიკური იდეალებისა და დასავლეთთან ურთიერთობის მიმართ სააკაშვილის ერთგულება. სწორედ ამ რეაქციებიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილმა „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც ამბობს, რომ ნებისმიერი პოლიტიკოსის, მით უმეტეს, პრეზიდენტის საქმიანობა მის მიერ წლების განმავლობაში გატარებული პოლიტიკით ჯამდება. სააკაშვილის თქმით, საპრეზიდენტო პერიოდში მისი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ნიშნული ის ჩანაწერია, რომელიც 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ნატო-ს ოფიციალურ დოკუმენტებში გაჩნდა: «საქართველო გახდება ნატოს წევრი». სააკაშვილის შეფასებით, ვარდების რევოლუციამდე ასეთ ჩანაწერზე ვარაუდის გამოთქმაც კი დასაცინი გახდებოდა და უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად, უკრაინისა და საქართველოს გარდა, ნატო-ს კანდიდატ არც ერთ ქვეყანას არ მიუღია წინასწარ ამ ჩანაწერის მსგავსი სიძლიერის მყარი გარიანტია.

„ჩვენ მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ 2008 წლის აგვისტოში მთელი დემოკრატიული სამყარო ფეხზე დადგა ქართული სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად, რაც ასევე წარმოუდგენელი იქნებოდა 2004 წლის შემდეგ გატარებული რეფორმების წინა პერიოდის საქართველოში. საერთაშორისო მხარდაჭერამ, ქართული შეიარაღებული ძალების თავდადებასა და ჩვენი მრავალეთნიკური ერის ერთიანობასთან ერთად, სასწაული მოახდინა და რუსეთის არმიამ ვერ შეძლო ის, რაც მანამდე ბალტიის ქვეყნებში, აღმოსავლეთ პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და ავღანეთში განახორციელა - ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და მისი დემოკრატიული წყობის მოსპობა," - წერს მიხეილ სააკაშვილი. ქვეყნის ლიდერი იმითაც ამაყობს, რომ მისი პრეზიდენტობის დროს პირველად საქართველოში რამდენჯერმე გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრა. საქართველო კი, ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად, ნატო-ს ასპირანტი ქვეყნების კატეგორიაში გადაიყვანეს. სააკაშვილი იმედოვნებს, რომ საქართველოს ახალი მთავრობა არა მხოლოდ არ შეაჩერებს პროგრესს, არამედ პირიქით, გააღრმავებს მუშაობას ამ მიმართულებით. ქვეყნის პირველი პირი მიიჩნევს, რომ ამისთვის აუცილებელია ქვეყნის შიგნით მიმდინარე რეფორმების დაჩქარებული ტემპით გაგრძელება.

„რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას გეოპოლტიკურ საკითხებთან, მოკლე მახსოვრობის მქონე, ჩასაფრებულ ელენტებს მინდა, შევახსენო, რომ სწორედ ჩემი ინიციატივით დატოვა დსთ საქართველომ, სადაც შევარდნაძემ რუსეთის იძულებით შეგვიყვანა, სწორედ ჩემი პრეზიდენტობის დროს გაფორმდა სტრატეგიული ურთიერთობის ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ასევე ჩემი და პრეზიდენტ ობამას შეთნხმების შედეგად გავხდით პირველი ქვეყანა ევროპაში, რომელთანაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად გახსნა დიალოგი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, ვიმეორებ, პირველი ქვეყანა მთელ ევროპაში!" - წერს პრეზიდენტი. განცხადების დასასრულს კი მისთვის ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის მიერ გაგზავნილ წერილს აქვეყნებს, სადაც ნატო-ს მაღალჩინოსანი საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების წინსვლის საქმეში პრეზიდენტის პირად როლზე საუბრობს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

აგვისტოს ომის წლისთავი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

„სახელმწიფოებრიობა ჩემმა მთავრობამ ქართველ ხალხთან ერთად ჩამოაყალიბა,“ - ამბობს სააკაშვილი.

პრეზიდენტის თქმით, ვინც 5 წლისთავზე ამბობს, რომ ომში საქართველოა დამნაშავეა, იმ ფონზე, როცა უკვე უტყუარად დადასტურდა, რომ წინა დღეებში რუსეთის შეიარაღებული ძალების მსხვილი კონტინგენტი, სპეცრაზმები და სატანკო კოლონები საქართველოში შემოვიდნენ, აგრესორის პროპაგანდას იმეორებს. როგორც სააკაშვილი ამბობს, რუსეთის ჯარების შემოსვლას რუსი ოფიცრები და უამრავი სხვა წყარო ადასტურებს. **„იმის შესახებ საუბარი, რომ საქართველო პროვოკაციას წამოეგო, დაახლოებით, იგივეა, ვთქვათ, რომ საქართველო ჯალალ ედ-დინის, მურვან ყრუს და აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ პროვოკაციას წამოეგო,“** - შენიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილი საზოგადოებას ურჩევს, დაფიქრდეს, სად იყო საქართველო მის პრეზიდენტობამდე და სად არის მისი პრეზიდენტობის დასასრულს. მიხეილ სააკაშვილის თქმით, მისი წინამორბედი იყო შევარდნაძე, რომელიც გაურკვეველი მიმართულებებით მოძრაობდა და მუდმივად ყოყმანობდა. **„ჩემი პრეზიდენტობისას კი გაჩნდა ჩანაწერი ნატოს ოფიციალურ დოკუმენტებში, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. ასეთი გარანტია არც ერთ ქვეყანას არ მიუღია ჩვენი და უკარაინის გარდა. 2003 წელს ვინმეს რომ ეთქვა, ასეთი ჩანაწერი გაჩნდებაო, მე თვითონაც გამეცინებოდა. ჩემი ინიციატივით გავიდა საქარათველო დსთ-დან, სადაც შევარდნაძემ შეგვიყვანა. ჩემი პრეზიდენტობისას მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე და ჩემი პრეზიდენტობისას საქართველო დამკვიდრდა მსოფლიო რუკაზე. ახლა გინდა ილაპარაკეთ, რომ სააკაშვილი რამეს რამეში ცვლიდა ან რაც გინდა ის თქვით, ფაქტები ძალიან ჯიუტია, მე აქ ვდგავარ, ჯერ-ჯერობით ცოცხალი ვარ და სახეზეა ჩემ მიერ გატარებული რეფორმების შედეგები,“** - განაცხადა სააკაშვილმა. მისი თქმით, პოლიტიკოსის ქმედებები იზომება არა იმით, ვინ რას ამბობს, არამედ წლების განმავლობაში მის მიერ გატარებული პოლიტიკით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილმა ომში დაღუპულებს პატივი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან და შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად მიაგო. მათთან ერთად იმყოფებოდა კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი.

ირაკლი ალასანიას თქმით, საქართველოში ყოველთვის, ყველაზე თანამედროვე და ძლიერი იარაღი მეომრების გაუტეხელი სული იყო. ალასანია დარწმუნებულია, რომ ეს მომავალში საქართველოს წარმატებების და გამარჯვების გარანტი იქნება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კი თავისი განცხადება „ფეისბუქის“ გვერდზე გამოაქვეყნა. ღარიბაშვილს მიაჩნია, რომ კონფლიქტის მოწესრიგების კუთხით ხელისუფლების მიერ არჩეული კურსი შედეგს აუცილებლად მოიტანს. როგორც მინისტრი აღნიშნავს, რუსეთ-საქართველოს ომში საქართველომ ბევრი ვაჟკაცი დაკარგა და ისინი საქართველოს გმირები არიან! ირაკლი ღარიბაშვილის აზრით, ამ ადამიანების ოჯახის წევრების ბედზე ზრუნვა მთავრობის მთავარი პასუხია იმ მძიმე გამოწვევებზე, რაც ომსა და ახალ დაბრკოლებებს მოჰყვა.

გიორგი მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ სამშობლოს მომავლისთვის თავდადებულ გმირებს ქვეყანა არასდროს დაივიწყებს. **„საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ ქვეყნისთვის თავგანწირული მამულიშვილების ხსოვნას და ღვაწლს პატივი უნდა მიაგოს. ხელისუფლება კი ვალდებულია, სახელმწიფოში მშვიდობა უზრუნველყოს, საკუთარი მოქალაქეები დაიცვას, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ქვეყანაში აღარასდროს განმეორდეს მსგავსი ტრაგედია,“** - ამბობს პრეზიდენტობის კანდიდატი. როგორც მარგველაშვილი დასძენს, ახალმა ხელისუფლებამ საგარეო ურთიერთობებში კონსტრუქციული და პრაგმატული კურსი აირჩია.

2008 წელს დაღუპულთა ხსოვნას მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე პატივი მიაგო პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. **„ერთი მხრივ, ერს არასდროს ავიწყდება სამშობლოსთვის თავგანწირვა და, მეორე მხრივ, ის ტკივილი, რაც ქვეყანას თავს დაატყდა,“** - განაცხადა უსუფაშვილმა. მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში ყველაფერი გაკეთდება, რათა ომი აღარ განმეორდეს.

საქართველო რჩება ისეთ გეოპოლიტიკურ გარემოში, სადაც დიდი სიფრთხილე გვამართებს, რომ მსგავსი ძალადობის განმეორება თავიდან ავიცილოთ,“ - დასძენს დავით უსუფაშვილი.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაი ფანჯიკიძემ მუხათგვერდის სასაფლაოზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ ისაუბრა. **„რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სუბიექტებად აქვს აღიარებული. ეს არის მიზეზი, თუ რატომ გვაქვს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა. ვერც აღდგება ეს ურთიერთობა, სანამ ასეთი მდგომარეობა იქნება. ჩვენ მიერ გადადგმულ დადებით ნაბიჯებს რუსეთის მხრიდან არაადეკვატური პასუხი მოჰყვა. ეკონომიკური, ჰუმანიტარული და კულტურული თვალსაზრისით გარკვეულ პროგრესს მივაღწიეთ, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენ გარღვევა არ გვაქვს და ჩვენი მიზანია, რომ სწორედ გარკვეულ სფეროებში ურთიერთობების დათბობამ იქნებ პოლიტიკური დიალოგის გაუმჯობესება გამოიწვიოს,“** - ამბობს მაია ფანჯიკიძე.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ განცხადებას ავრცელებს. **„5 წელი გავიდა 2008 წლის ტრაგიკული მოვლენებიდან. ეს ომი ჩვენი საერთო ტრაგედიაა და მას გამარჯვებული არ ჰყავს. 5 წლის წინანდელ ტრაგედიას ემსხვერპლა უამრავი ადამიანი და ჩვენ პატივს მივაგებთ თითოეული მათგანის ხსოვნას. ბევრმა ოჯახმა დატოვა საკუთარი საცხოვრებელი და დღემდე, სამწუხაროდ, დევნილობაში ცხოვრობს. მათთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებაა, ხოლო მათი დაბრუნების გარეშე კონფლიქტის სრულფასოვანი მოგვარება შეუძლებელია,“** - ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

სახელმწიფო მინისტრი მიიჩნევს, რომ ოკუპაცია დღეს მავთულხლართებითა და ხალხებს შორის სხვა სახის ხელოვნური დაბრკოლებებითაც გრძელდება. როგორც ზაქარეიშვილი აღნიშნავს, ეს ამ დაბრკოლებების ორივე მხარეს მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს აზარალებს. **„საქართველოს ხელისუფლებას მათი ბედი თანაბრად აწუხებს და მათზე ზრუნვა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრებ ადამიანებს ცხოვრების მძიმე პირობები შეუმსუბუქდეთ. ჩვენი სახელმწიფოს აფხაზ და ოს მოქალაქეებს კი გვსურს, ვუთხრათ, რომ ყველა პრობლემის მოგვარება ერთად შეგვიძლია. მათ საქართველოში არასდროს დაემუქრებათ საფრთხე, ექნებათ განვითარების პერსპექტივა და ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების რეალური გარანტია. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ კონფლიქტების მოწესრიგების მშვიდობიანი, კონსტრუქციული და პრაგმატული კურსი აირჩია და დარწმუნებულნი ვართ, ეს კურსი სასიკეთო შედეგს აუცილებლად მოიტანს. სამშვიდობო კურსისადმი ერთგულება საქართველოს ხელისუფლებამ სამართლებრივადაც გაამყარა პარლამენტის 7 მარტის რეზოლუციაში დადასტურებული ცალმხრივი ვალდებულებით ძალის გამოუყენებლობის შესახებ. ასევე, მთავრობის მკაფიო პოლიტიკაა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები და არსებობს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა. ამდენად, გვჯერა, რომ ეკონომიკურად ძლიერ, დემოკრატიულ სახელმწიფოში აფხაზებთან და ოსებთან ერთად შევძლებთ საერთო ინტერესებზე ორიენტირებული გამოსავლის პოვნას და მომავალ განვითარებაზე ზრუნვას,“** - ნათქვამია პაატა ზაქარეიშვილის განცხადებაში.

საპარლამენტო უმცირესობის წევრები დავით დარჩიაშვილი, გიგი წერეთელი და თინა ბოკუჩავა წეროვაში დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდნენ. **„5 წელი გავიდა იმ კულმინაციდან, რაც წლების განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ ქმედებებს მოჰყვა,“** - თქვა დავით დარჩიაშვილმა.

გიგი წერეთელი დევნილთა მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას. **„ვწუხვარ, რომ დღეს ამ ადამიანებს, რომლებსაც მეტი ყურადღება და დახმარება სჭირდებათ, ჯერჯერობით სახელმწიფოსგან საკმარისი მხარდაჭერა არ აქვთ. უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს მთავარი საზრუნავი ქვეყნის დეოკუპაცია და დევნილებისთვის ღირსების და უფლების დაბრუნებაა,“** - ამბობს გიგი წერეთელი.

რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულებს პატივი მიაგო „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ. მას მიაჩნია, რომ პასუხი უნდა აგოს იმ ადამიანმა, რომელიც აგვისტოს ომის ტრაგედიაში დამნაშავეა, ბურჯანაძეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჰყავს მხედველობაში. ამასთან, ბურჯანაძის თქმით, აუცილებელია ომის გამოძიება და ყველა იმ ადამიანის პასუხისგებაში მიცემა, ვინც, სააკაშვილის ხელმძღვანელობით, არაფერი გააკეთა, რათა საქართველოს ეს ტრაგედია თავიდან აეცილებინა.

რუსეთ-საქართველოს ომის 5 წლისთავს ეუთო ეხმიანება. ეუთო-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში - „2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი: ხუთი წლის შემდეგ“ - ნათქვამია, რომ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად ქვეყანამ ასობით ადამიანი ტრაგიკულად დაკარგა, ათასობით ადამიანი კი იძულებით გადაადგილებულია. **„5 წლის შემდეგ ჩვენ ვხედავთ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიისთვის სამხედრო კონფლიქტის შედეგად მიყენებულ ზიანს. ეუთო-სთვის და მის მისიაში მონაწილე სახელმწიფოებისთვის კონფლიქტმა და მისმა შედეგებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს ორგანიზაციას მანდატის არსი: უსაფრთხოების სივრცის შექმნა თანამშრომლობის საფუძველზე, განსხვავებულობის პატივისცემა, ნდობის დამყარება და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისადმი მისწრაფება,“** - აღნიშნულია განცხადებაში.

ეუთო ასევე მიუთითებს, რომ აგვისტოს კონფლიქტიდან 5 წლის შემდეგ ორგანიზაცია ინტენსიურად არის ჩართული კონფლიქტის შედეგებისადმი დაკავშირებულ შუამავალ საქმიანობაში. **„ევროკავშირთან და გაერო-სთან ერთად, ეუთო თანათავმჯდომარეობს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებს. ეს მიმდინარე დისკუსიები ერთადერთი ფორუმია, სადაც ყველა დაინტერესებული მხარეა წარმოდგენილი და თავს უყრის მონაწილეებს თბილისიდან, ცხინვალიდან და სოხუმიდან, ისევე როგორც მოსკოვიდან და ვაშინგტონიდან,“** - აღნიშნულია განცხადებაში. თუმცა, ეუთო-ს მხოლოდ პოლიტიკური მოლაპარაკებების მხარდაჭერა საკმარისად არ მიაჩნია. **„კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა იმსახურებს მშვიდობას, სტაბილურობასა და შესაძლებლობას, იცხოვროს საკუთარი ცხოვრებით,“** - ნათქვამია განცხადებაში.

საკუთარი ინფორმაცია

შვეიცარიაში მიგრანტების უფლებებს შეზღუდავენ

შვეიცარიის რამდენიმე ქალაქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, შეზღუდოს აუზებზე, სტადიონებსა და ბიბლიოთეკებში (ზოგან სკოლებთანაც) იმ მიგრანტების შეშვება, რომლებმაც შვეიცარიაში თავშესაფარი ითხოვეს. ადამიანის უფლებათა დამცველებმა ამ გადაწყვეტილებას რასისტული უწოდეს. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დაგეგმილი აკრძალვის მიზანია, თავიდან აიცილონ კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან. თავშესაფრის მთხოვნელებს სპეციალურ ცენტრებში ჩაასახლებენ - ძირთადად, არმიის ყოფილ ყაზარმებში. პირველი ასეთი ცენტრი ქალაქ ბრემგარტენში გაიხსნა.

შვეიცარიაში თავშესაფრის მინიჭების შესახებ კანონი წელს, ივნისში გამკაცრდა. ეს გადაწყვეტილებები გამოწვეულია ქვეყანაში იმიგრანტთა რაოდენობის ზრდის გამო ამომრჩეველთა შეშფოთებით. ამ მომენტისთვის შვეიცარიას თავშესაფარი 48 ათასმა ადამიანმა სთხოვა. ერთ სულ მოსახლეზე გადათვლით, შვეიცარია ამ მაჩვენებლით ევროპის სხვა სახელმწიფოებს მნიშვნელოვნად უსწრებს. შვეიცარიაში 332 მცხოვრებზე ერთი მიგრანტი მოდის, როცა საერთოევროპული მაჩვენებელი 625 კაცზე ერთი მიგრანტია. წესების გამკაცრების მიუხედავად, მთხოვნელთა რიცხვი ჯერჯერობით იზრდება.

ზოგან მიგრანტებს შეიძლება, სკოლებთან ახლოს ყოფნა აუკრძალონ, ზოგან - ეკლესიებში არ შეუშვან. ქვეყნის მთავრობა აცხადებს, რომ ეს წესები გადაადგილების ოფიციალური შეზღუდვა არ იქნება, თუმცა აღიარეს, რომ ეს საკითხები მიგრაციის სამინისტრომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეათანხმა.

ლიბანის საზღვარზე ისრაელის ჯარისკაცები დაიჭრნენ

ისრაელის და ლიბანის საზღვარზე აფეთქების შედეგად ისრაელის ოთხი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. ისრაელის არმიის მიერ გავრცელებული ცნობით, სამხედროები საზღვართან მიმდინარე ოპერაციის დროს დაიჭრნენ. როგორც ირკვევა, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი აფეთქდა. ოღონდ ლიბანის არმია აცხადებს, რომ აფეთქების დროს ისრაელელი ჯარისკაცები ლიბანის ტერიტორიაზე იყვნენ გადასულები და მომხდარს სუვერენტეტის მორიგ დარღვევას უწოდებს. ლიბანის და ისრაელის საღვარზე 2006 წლის შემდეგ პრინციპში სიმშვიდეა. სამხრეთ ლიბანის ტერიტორია ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა 22-წლიანი ყოფნის შემდეგ 2000 წელს დატოვეს. ეს არაფორმალური საზღვარი, სხვანაირად მას ციფერ ხაზსაც უწოდებენ, მაშინ გაერომ გაავლო. ახლაც ინციდენტის გამოძიებას ლიბანი გაერო-ს დროებით კონტინგენტთან ერთად აწარმოებს.

გვატემალაში მაიას ტომის უნიკალური ქანდაკება აღმოაჩინეს

არქეოლოგების საერთაშორისო ჯგუფმა გვატემალაში პირამიდის კვლევისას აღმოაჩინა მაიას კულტურის „გასაოცარი“ ქანდაკება და გამოძერწილი ფრიზი, რომლის სიგრძეც 9 მეტრია და სიმაღლე 1,8 მეტრი. მეცნიერების გამოთვლით, ისინი შექმნილია 590 წელს. წითლად შეღებილი და ლურჯი, ყვითელი და მწვანე ფერებით გაფორმებული ფრიზი სამ მამაკაცს გამოსახავს, რომლებსაც მაიას ტრადიციული ქუდები ახურავთ. სიძველეები შესანიშნავად არის შენახული. ერთ-ერთი ვერსიით, გამოსახულია გვირგვინის დადგმის სცენა. პირამიდაში ნაპოვნია ადამიანის ჩონჩხი და სამკაულები ძვირფასი ქვებით. პირამიდაში, უდავოდ, მმართველი კლასის წარმომადგენელია დაკრძალული.

პაკისტანში ძლიერ აფეთქებას 30 ადამიანი შეეწირა

ქვეყნის ჩრდილოეთში, ქალაქ კვეტაში თვითმკვლელმა ტერორისტმა პოლიციელის დაკრძალვის ცერემონიაზე აიფეთქა თავი. დაღუპულია 30 და დაჭრილია 60 კაცი. კრძალავდნენ პოლიციელს, რომელიც ოჯახთან ერთად ქალაქში სეირნობის დროს მოკლეს. მისი ორივე ბავშვი დაიჭრა, მაგრამ ცოცხლები გადარჩნენ. აფეთქებისას დაღუპულთა შორის არის პოლიციის მაღალჩინოსანი ფაიაზ სუმბალი. სწორედ მან შენიშნა საეჭვო მამაკაცი და კოლეგებს მისი ვინაობის გარკვევა სთხოვა. როცა პოლიციელები მას მიუახლოვდნენ და დაკითხვა დაუწყეს, ტერორისტმა თავი აიფეთქა. დაღუპულებს შორის ბევრი პოლიციელი მოხვდა, რომლებიც კოლეგის დაკრძალვაზე იყვნენ მისულები.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ეგვიპტის კრიზისს უცხოელი შუამავლები ვერ შველიან

პირველი გვერდიდან

ეგვიპტეში 250 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა არეულობებსა და შეტაკებებს მას შემდეგ, რაც 3 ივლისს სამხედროებმა მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შედეგად თანამდებობიდან გადააყენეს ერთი წლის წინათ არჩეული პრეზიდენტი მოჰამედ მურსი.

დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ჰაზემ ბებლავიმ მურსის მომხრეებს მოუწოდა, შეწყვიტონ საპროტესტო გამოსვლები და დაიშალონ. მან ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ „მუსლიმანი ძმების“ კარვების ქალაქების აღების გადაწყვეტილება „საბოლოო და შეუქცევადი“ იყო. მანვე დასძინა, რომ თუ დემონსტრანტები პოლიციელების წინააღმდეგ იარაღს გამოიყენებენ, მათ „მაქსიმალური ძალით და შემართებით“ უპასუხებენ.

ეგვიპტის დროებითმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ოთხშაბათს, გვიან საღამოს, განაცხადა, რომ „დიპლომატიური ძალისხმევის ფაზა დღეს დამთავრდა და ამ მცდელობამ ის შედეგები არ გამოიღო, რისი იმედიც გვქონდა.“

გარდამავალი ხელისუფლება მოლაპარაკებების ჩაშლაში „მუსლიმან ძმებს“ სდებს ბრალს. ამ პანარაბულ მოძრაობას აკისრებენ ასევე პასუხისმგებლობას მოვლენების შემდგომ განვითარებაზე, რაც დაკავშირებული იქნება კანონის დარღვევასთან და საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნასთან.

დროებითმა ხელისუფლებამ ისლამისტური მოძრაობის მომხრეებისგან რამდენჯერმე მოითხოვა, შეეწყვიტათ ორი მასშტაბური მჯდომარე გაფიცვა კაიროში. უცხოელი დიპლომატები შეშფოთებას გამოთქვამდნენ დემონსტრანტების დასაშლელად ძალის შესაძლო გამოყენების გამო. თუმცა ოთხშაბათს გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „ეგვიპტის მთავრობა მთლიანად უჭერს მხარს“ საპროტესტო აქციების მშვიდობიანად დამთავრებას. ეს საპროტესტო აქციები, სხვადასხვა ფორმებით, უკვე 5 კვირაა, გრძელდება და მისი მონაწილეები ხელისუფლების განცხადების გამო უკვე შიშობენ, რომ მათ წინააღმდეგ შეიძლება, ძალა გამოიყენონ.

7 აგვისტოს ალექსანდრიაში ერთი ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა შეტაკებისას, რომელიც მურსის მომხრეებსა და ქალაქის სხვა მცხოვრებლებს შორის მოხდა. ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები ჯერჯერობით აგრძელებენ ყოველდღიურ საპროტესტო აქციებს კაიროსა და ეგვიპტის სხვა ქალაქებში. დედაქალაქში მიმდინარე მჯდომარე აქციები სადღეღამისოა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უილიამ ბერნსმა და ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ბერნარდინო ლეონმა რამდენიმედღიანი მოლაპარაკებების შემდეგ კაირო დატოვეს. ისინი კატარისა და გაერთიანებული არაბული საამიროების საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად ცდილობდნენ მხარეების კომპრომისებზე დაყოლიებას. მათი სავარაუდო გეგმების შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით კვირის დასაწყისში.

„გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია, რომ კვლავ მოვუწოდოთ ხალხს მრავალმხრივი დიალოგისკენ,“ - განაცხადა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საგარეო ურთიერთობებსა და უსაფრთხოების საკითხებში ბარონესა კეტრინ ეშტონის პრესმდივანმა მაიკლ მანმა. თვით კეტრინ ეშტონიც ბოლო ერთი თვის განმავლობაში ორჯერ იმყოფებოდა ეგვიპტეში და შინაპატიმრობაში მყოფ ექს-პრეზიდენტ მურსისაც შეხვდა. მაიკლ მანმა დასძინა, რომ „მნიშვნელოვანია, დავინახოთ ეგვიპტეში დემოკრატიულ პროცესებთან დაბრუნება. ჩვენ გავაგრძელებთ ძალისხმევას.“

მურსი, რომელიც ივლისის დასაწყიში დაიკავეს, ისევ შინაპატიმრობაში რჩება ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე. ზუსტად სად, უცნობია. სხვადასხვა დროს, ისიც ვარაუდის დონეზე, დასახელებული იყო რესპუბლიკური გვარდიის ოფიცერთა სახლი კაიროში და სამხედრო ბაზა დედაქალაქიდან ერთი საათის სავალზე. თუმცა კეტრინ ეშტონმა განაცხადა, რომ მურსის არაფერი ემუქრება. ივლისში მურსის მომხრეების მიერ რესპუბლიკური გვარდიის შტაბბინის შტურმს ხალხიც შეეწირა, რაზეც ჩვენ თავის დროზე ვწერდით.

სამშაბათს კაიროში ამერიკელი სენატორები ჯონ მაკკეინი და ლინდსი გრემი იმყოფებოდნენ. მათ ეგვიპტის ხელისუფლებასთან შეხვედრისას ოფიციალურ კაიროს „მუსლიმან ძმებთან“ მოლაპარაკებების დაწყებისა და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებისაკენ მოუწოდეს. „დემოკრატია ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი გზაა სტაბილურობისკენ,“ - განაცხადა ჯონ მაკკეინმა. მან მხარეებს მოუწოდა „მრავალმხრივი პოლიტიკური პროცესისკენ, რომელშიც ყველა ეგვიპტელი თავისუფლად მიიღებს მონაწილეობას.“

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესახებ გუშინ ხალხს ტელევიზიით მიმართა დროებითმა პრეზიდენტმა ადლი მანსურმა. მან, ფაქტობრივად, გაიმეორა, რომ დიპლომატიური მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა და კვლავ დაადასტურა, რომ ხელისუფლება კარვების ქალაქების აღებას აპირებს. საპროტესტო აქციების მონაწილეებმა მოედნების გარშემო ბარიკადები გაამაგრეს.

გუშინვე აშშ-მ და ევროკავშირმა ეგვიპტეში შექმნილი სიტუაციის შესახებ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, რომელსაც ხელს აწერენ სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში კეტრინ ეშტონი. ისინი ეგვიპტელებს «საშიში ჩიხიდან» გამოსვლისკენ მოუწოდებენ. ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ შექმნილი სიტუაციის გამო ქვეყნის მთავრობას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება და ყველაფერი უნდა გააკეთოს დარეგულირების პროცესის დაწყებად. «მიუხედვად იმისა, რომ შეტაკებები ჯერჯერობით თავიდან იქნა აცილებული, ჩვენ კვლავ შეშფოთებული ვართ იმის გამო, რომ მთავრობამ და ოპოზიციამ ჯერ ვერ მონახეს საშუალება, გამოსულიყვნენ საშიში ჩიხიდან და შეეთანხმებინათ ქმედითი ნაბიჯები ნდობის აღსადგენად. ქვეყანაში კვლავ შენარჩუნებულია უაღრესად არამყარი მდგომარეობა. არსებობს არა მარტო ახალი სისხლისღვრის რისკი, არამედ ეს ხელს უშლის ეკონომიკის აღდგენას, რაც, თავისი მხრივ, აუცილებელია ეგვიპტის გადასასვლელად დემოკრატიისკენ,» - ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.

„ბი-ბი-სის“ მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

ასადის კორტეჟი თავდასხმას გადაურჩა

პირველი გვერდიდან

შეტაკებები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს, მსხვერპლი გაიზარდა. გუშინ ოპოზიციამ გაავრცელა ცნობა ნაღმტყორცნებითა და არტილერიით პრეზიდენტ ასადის კორტეჟის დაბომბვის შესახებ, თუმცა ასადი არ დაშავებულა. ხელისუფლებამ კი საერთოდ უარყო პრეზიდენტის კორტეჟზე თავდასხმის ფაქტი.

6 აგვისტოს „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებულმა დაჯგუფებამ „ჯებჰატ ალ-ნუსრამ“ 450 ქურთი მძევალი დახოცა, რომლებიც ერთი კვირის წინ ჩაიგდეს ხელში. დაღუპულები არიან ქალები, ბავშვები (120 ბავშვი) და მოხუცები. ესენი, ძირითადად, ქურთების მოხალისეთა რაზმების ოჯახის წევრები იყვნენ. ეს მოხალისე რაზმები საკმაოდ აქტიურად და წარმატებით იცავენ საკუთარ ქალაქებს. წინა დღეებში მათ ექსტრემისტებთან ჰქონდა ბრძოლა, რომლებსაც ჩეჩენი საველე მეთაური აბუ-მუსააბი ხელმძღვანელობს. ბრძოლის შედეგად თურქეთის საზღვართან მდებარე სირიის ქალაქი ქალაქი რას-ალ-აინი ქურთების ხელში გადავიდა. ქურთებმა „ჯებჰატ ალ-ნუსრას“ და „ისლამური სახელმწიფოს“ მოჯაჰედები რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტიდანაც განდევნეს, თუმცა ეთნიკური ქურთებით დასახლებული დიდი რაიონი, სადაც მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, ალყაში აღმოჩნდა. „ქურთული დამოკრატიული კავშირის“ მოწოდებით, მოსახლეობაში გამოცხადებულია მობილიზაცია, სასწრაფო სამხედრო მომზადებას ასობით ადამიანი გადის და მათ დამცავი ბლოკპოსტებისკენ გზავნიან.

ამბოხებულებს ამ ეტაპზე ძალიან უჭირთ ჰომსის, დამასკოს და ალეპოს გარშემო მიმდინარე ბრძოლებში, თუმცა მათ მოახერხეს შეტევის წამოწყება „ალავიტების დედაქალაქ“ ლატაკიასა და მის შემოგარენზე. ამ ზონაში, ძირითადად, შიიტური სექტის ალავიტების წარმომადგენლები ცხოვრობენ, რომლებიც სირიის მოსახლეობის, დაახლოებით, 12 პროცენტს შეადგენენ და რომელთა წარმომადგენელიც არის პრეზიდენტი ასადი და მისი გარემოცვა. ამბოხებულებმა ზოგი დასახლებული პუნქტიდან უკვე ჩაიგდეს ხელში, დაახლოებით, 400 მძევალი, მათ შორის ქალები და ბავშვები. ისინი თურქეთის საზღვრისკენ წიყვანეს. ექსპერტების ვარაუდით, ალავიტების ქალაქებზე შეტევა ამ ეტაპზე მაინც ყურადღების გადასატანი მანევრია. შესაძლოა, ამბოხებულების მიზანია, ასადს ჰომსის და ალეპოს შემოგარენიდან მნიშვნელოვანი ძალები მოახსნევინონ და მათი ალავიტების დასაცავად გადასროლა აიძულონ.

სირიის სხვა ნაწილებში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ჰომსისა და ალეპოს მიდამოებში. ალეპოსთან ამბოხებულებმა ერთ-ერთი მსხვილი ავიაბაზის ხელში ჩაგდება მოახერხეს, რომლისთვის ბრძოლაც დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამჟამად ალეპოს გარშემო მათ ხელშია „ჯარახი“ და „ბაზა-80“, რომელიც დანარჩენების უსაფრთხოებას და მომარაგებას უზრუნველყოფდა. ასადის მთავრობა აკონტროლებს საერთაშორისო აეროპორტ „ალეპოს“, ავიაბაზა „კვეირასს“ და სამხედრო აეროპორტ „ნაირაბს“. თუმცა ამ ტიპის ობიექტების დაბრუნება სირიის სამთავრობო არმიას არ უჭირს ხოლმე, მას შემდეგ, რაც საქმეში ავიაციას და მძიმე არტილერიას რთავს.

7 აგვისტოს დამასკოს მახლობლად ასადის არმიის ჩასაფრებაში მოყვა „ჯებჰატ ალ-ნუსრას“ რაზმი. როგორც ჩანს, აღმოაჩინეს მათი ერთ-ერთი საიდუმლო ბილიკი. სირის არმიამ იქ, დაახლოებით, 60 ამბოხებული გაანადგურა.

გუშინ ამბოხებულებმა გაავრცელეს ცნობა, რომ არტილერიით და ნაღმტყორცნებით დაცხრილეს ის რაიონი, სადაც, მათი დაზვერვის მონაცემებით, იმ დროს პრეზიდენტ ასადის კორტეჟს უნდა ჩაევლო. ასადი პრეზიდენტის რეზიდენციიდან მეჩეთში მიდიოდა რამადანის დამთავრებისა და მუსლიმანების მთავარი დღესასწაულის დაწყების აღსანიშნავ ლოცვაზე. ამბოხებულების რამდენიმე ჯგუფი თავდასხმას ადასტურებს, ოღონდ ზუსტად ვერავინ ამბობს, რა შედეგი გამოიღო კორტეჟის „ზონის“ საარტილერიო დაბომბვამ.

სირიის ხელისუფლებამ ასადის კორტეჟზე თავდასხმა საერთოდ უარყო და სახელმწიფო ტელეარხებმა აჩვენეს კადრები, სადაც საღ-სალამათი ასადი მეჩეთში უმაღლეს მუფტიის აჰმედ ჰასუნის გვერდით დგას. ექსპერები ზუსტად ვერ ამბობენ, ეს პირდაპირი ეთერი იყო თუ ჩაწერილი კადრები. წარწერა „პირდაპირი ეთერი“ სიუჟეტის მხოლოდ ნაწილზე გაჩნდა და შემდეგ გაქრა. ამბოხებულებმა გაავრცელეს დაუდასტურებელი ცნობა, რომ თვით პრეზიდენტი ასადი არა, მაგრამ კორტეჟიდან სხვები დაშავდნენ. თუმცა არ გამოირიცხება ვერსიაც, რომ ასადი სხვა კორტეჟით მიდიოდა და ამბოხებულებმა სულ სხვა კორტეჟს ესროლეს. პრეზიდენტი ასადი, როგორც ჩანს, მართლაც უვნებელი გადარჩა, თუმცა ამბოხებულების ცალკეული რაზმები მის „უსაფრთხო“ რაიონებს უკვე საკმაოდ მიუახლოვდნენ.

5 წლის შემდეგ... სტალინთან ერთად

პირველი გვერდიდან

აგვისტოს ომის ხუთ წლისთავს რუსეთის და სტალინის დიდებით შევხვდით. ეს ამბავი გავაკრიტიკეთ მხოლოდ ქილიკის დონეზე, სოციალურ ქსელებში, რაც ვერაფრით ვერ იქნება ადეკვატური რუსეთის სიკეთისა და სტალინიზმის იმ მასშტაბური პროპაგანდისა, რომელსაც ერისა და ბერის ჩინოვნიკები დიდ პოლიტიკურ სცენებზე ახორციელებენ.

ადამიანი, რომელსაც ლამის სრულიად საქართველო უსმენს, ყვარობს, სტალინისტია. ეს დასკვნა კი არა, ფაქტია, რომელსაც მისივე განცხადებები განაპირობებს. ჩვენ კი დროსა და ეპოქაში ისე ჩამოვრჩებით განათლებით, ცოდნით და იმდენად არაადეკვატურნი ვართ იმ რეალობისადმი, რომელიც მთელი განვითარებული მსოფლიოსთვის ცნობილია, იმდენად ზედაპირულია ჩვენი შეხედულებები თუნდაც სტალინის ეპოქის შესახებ, ძალიან იოლად გაგვიბედეს საბჭოთა კავშირში გამოწვრთნილებმა სტალინის სიკეთეზე სოცრეალისტური ზღაპრის გაცოცხლება. ჩვენ არ აღვშფოთდით სტალინიზმის პროპაგანდით და ჭეშმარიტებაზე მაღლა დავაყენეთ ვიწყო - კონკრეტული პირისა და პირებისადმი სრულიად ფობიური «მოკრძალება“. სწორედ აქ გადის საზღვარი განვითარებულ მსოფლიოსა და ჩვენს შორის. აქ გადის საზღვარი დასავლეთსა და რუსეთისკენ მიმავალ გზებს შორის. ის, რაც დასავლეთში კანონით ისჯება, სიმპატიას იმსახურებს რუსეთში და, შესაბამისად, დიდი ადგილი ეთმობა პატრიარქის მონოლოგში.

თანამედროვე რუსეთი, სტალინი - ჩვენ ორივეს სიკეთეზე ერთდორულად ავლაპარაკდით. თუკი სტალინიზმისა და პუტინის რუსეთის მკვლევარების უახლეს ნაშრომებს გადავხედავთ, ძალიან გაგვიადვილდება ამ ყოველივეში მჭიდრო კავშირის დანახვა.

საბჭოთა კავშირი არ არის მხოლოდ რუსეთი, თუმცა ამ უკანასკნელს წარსულის გააზრებისა და მემკვიდრეობის გადაფასების საკითხში ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება. არა მარტო იმიტომ, რომ რუსეთი იყო კავშირის ცენტრი და რომ ის ფლობს ყველაზე დიდ და მთავარ არქივებს, არამედ იმიტომაც, რომ თანამედროვე რუსეთს ჯერ არ უთქვამს უარი საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობაზე. რეჟიმი, რომელიც პუტინმა შექმნა, საბჭოთა რეჟიმის ახალი ვერსიაა. აქაც ცენტრალიზებულად სახელმწიფო მართავს ყოველივეს. მოქალაქე უძლურია. სახელწმიფოს ძალაუფლებას კი უსაფრთხოების ძალები ქმნიან. სწორედ ამ პროცესის გამო, არაერთმა მკვლევარმა დაწერა, რომ რუსეთისთვის სტალინი არ მომკვდარა. მათალია სხვადასხვა განცხადებებში პიტინი და მედვედევი მსუბუქად აკრიტიკებენ საბჭოთა რეჟიმს, თუმცა იგივე 2012 წელს, როცა პუტინი ხელმეორედ გაპრეზიდენტდა, დესტალინიზაციის პროგრამა ქვეყანაში შეჩერდა. სხვათაშორის, რუსეთის ფედერალური უშიშროების სასახურს შენობაც კი არ გამოუცვლია. შენობა, რომელშიც სტალინის მსხვერპლთ ხვრეტდნენ. ფედერალური სამსახურის ძალაუფლება (რომელსაც არ დაუგმია იმ ორგანოს ქმედება, რომლის სამართალმემკვიდრეც არის) უზარმაზარია და სისტემურად ის არავის წინაშე არ არის ვალდებული. მისი სტაჟიანი თანამშრომლებით პუტინი ხშირად აკომპლექტებს სამინისტროებს.

ამიტომაც, მოდით, ვაღიაროთ, რომ საქართველო საკუთარი ისტორიისა და აწმყოს წინაშე მთავარი დამნაშავეა არა იმიტომ, რომ ჩვენ პირველებმა გავისროლეთ სადღაც და როდესღაც, რასაც განსაკუთრებით ბევრჯერ წინასაარჩევნოდ წამოიძახებს არაერთი, არამედ დამნაშავეა იმიტომ, რომ ვერ შეძლო გაეაზრებინა წარსული; ვერ შეძლო «დაეფასებინა“ რუსეთი; ვერ შეძლო გაეაზრებინა, სად არის მისთვის კარგი და ორიენტაციას იმის მიხედვით იცვლის, თუ რას და როგორ ამბობენ ტელევიზორებში ავტორიტეტები. საქართველო დღესვე დამნაშავეა მომავალში, რუსეთთან გართულებული საზღვრების, გადმოწერული ღობებარიკადებისა და ოკუპაციის სხვა ნებისმიერი მცდელობის გამო. ამაში დამნაშავეა ყველა, ვინც მოსკოვში სტალინის სიკეთეებზე საუბრობს და ყველა, ვინც მათ ამის უფლებას აძლევს. რატომ? იმიტომ, რომ პუტინის რუსეთში დესტალინიზაციის პროცესი ოფიციალურად შეაჩერეს; იმიტომ, რომ პუტინის რუსეთში უშიშროების სამსახურს უარი არ უთქვამს სუკ-ის მემკვიდრეობაზე; იმიტომ, რომ არავის არაფერი არ დაუგმია; იმიტომ, რომ პუტინის რუსეთმა აღადგინა მმართველობის საბჭოთა მოდელი - ძალოვანთა აბსოლუტური ძალაუფლება საზოგადოების ყველა სექტორზე. ასე რომ, აქო ტირანი სტალინი რუსეთში, ნიშნავს იმას, რომ თანახმა ხარ დაგიპყრონ და გახდე დიდი იმპერიის ერთი ერთნოსი სხვებს შორის; ერთი გუბერნია სხვა გუბერნიებს შორის. სტალინური რუსეთი სხვა თანამშრომლობას არ მიიღებს. სტალინის დიდება თანხმობაა მონობაზე და არავითარი კავშირი არ აქვს არც რწმენასთან, არც ქრისტიანობასთან და არც ძმობასთან, რომელიც არც არასდროს გვქონია როგორც გარანტი სუვერენიტეტისა. თუმცა მრევლი, რომელსაც ზეპირსიტყვიერ განათლებას აჩვევენ, ისე, როგორც აჩვევდნენ პარტიაში, ფაქტებს და ისტორიას არ იცნობს და მას სჯერა, რომ «სტალინი მორწმუნე იყო სიცოცხლის ბოლო წლებში“.

და მაინც მათთვის, ვისაც ლეგენდების სჯერა უფრო ვრცლად გავიხსენოთ სტალინის დანაშაულები. სტალინმა ათასობით ეკლესია დაანგრია კავშირში შემავალ ყველა ქვეყანაში. შექმნა სტალინური იდეოლოგიური კულტურა, რომელმაც სრული ზომბირება მოახდინა შემოქმედებითი პროცესების, რამაც ყველაზე დიდი ზინი მიაყენა ინდივიდის ცნებას და ინდივიდუალიზმის განცდის უფლებას. მაგრამ ტერორის ფენომენის ყველაზე ეფექტური იარაღი ხომ მაინც ადამიანების მიმართ ჩადენილი დანაშაული იყო. გადასახლებები, გულაგები, ხელოვნური შიმშილობები. სსრკ-ში 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა საბჭთა ტოტალიტარულ რეჟიმს და ეს მხოლოდ დაახლოებითი მონაცემია.

სულ ცოტა ხანში საქართველო დაახლოებით 25 000 ლარს დახარჯავს იმისთვის, რომ სტალინის ძეგლი გორს დაუბრუნდეს. ამ დროს ხელშეუხებელი რჩება სტალინის მუზეუმი, რომელიც სერიოზულ გადააზრებას საჭიროებს. ეს კი სერიოზულ კვლევით სამუშაოს უნდა ეყრდნობოდეს. ასეთი კვლევების დაფინანსება საქართველოს სახემწიფოს ჯერ არ მოუაზრებია.

რაზე ვწერ? სტალინის ქანდაკებაზე! რა კავშირშია? მოგახსენებთ. მონუმენტური ქანდაქება ყოველთვის იყო და არის პოლიტიკური გზავნილისა და შინაარსის მატარებელი. მონუმენტი, რომელიც ქალაქში თავსდება, არ აქვს მნიშვნელობა, მუზეუმთან ახლოს თუ კეკეს ქოხის ასლის გვერდით, არის დიდება და პროპაგანდა იდეისა, რომელსაც მონუმენტი ატარებს. ეს არის სახელწმიფოსა და საზოგადოების შეთანხმება, რომ ეს იდეა მათთვის პრიორიტეტულია. როდესაც გორში, ღია ცის ქვეშ, საზოგადოებრივ სივრცეში, არც საცავეზოში, არც მუზეუმის შიდა ეზოში და არც არავითან სპეციალურ სივრცეში გამართული კონტექსტით, აღდგება სტალინი, ბიუროკრატიულ დეტალებში დაიკარგება ის ფაქტები, რომ ეს გორის რამდენიმე ათასმა მოსახლემ მოინდომა და რომ იმ პერიოდის კულტურის მინისტრმა რომელიღაც სხვა ქვეყანაში ნახა ლენინისა და სტალინის ძეგლები. ასეთი დეტალები დასაკარგად ღირს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ამ დეტალების ავტორები სერიოზულ შეცდომაში არიან და თუ რატომ, ამასაც მოვახსენებ მათ პატივისცემით. სახელმწიფომ უნდა იცოდეს - ეს იქნება სახელმწიფოს განაცხადი, რომ ის პატივს მიაგებს სტალინსა და იმ იდეოლოგიას, რომელსაც დღეს ეს სახე, როგორც ხატება, ატარებს. ასე მოხდება იმიტომ, რომ, ჩვენგან განსხვავებით, განვითარებული მსოფლიო შეთანხმებულია მონუმენტების ურბანულ სივრცეში განთავსების პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, დანიშნულებაზე და ამას ჩვენი საყველპურო ცოდნითა და პროფესიონალიზმით წინ ვერ აღვუდგებით.

რა არ იციან ძეგლის აღდგენის ინიციატორებმა და აღმასრულებლებმა? - არ შეშინდეს მკითხველი, პასუხი ორივესთვის ერთი მაქვს. პასუხი უფრო ამბავია, ვიდრე ფორმულა.

2012 წლის შემოდგომაზე, ჰაინრიხ ბიოლის სახელობის ბერლინის კვლევით ცენტრში, შედგა საკმაოდ წარმომადგენლობითი შეხვედრა მკვლევარებისა პოსტოტალიტარული ქვეყნებიდან. თემა - რეპრესიების ადგილი და თანამედროვეობა. ნაცისტური და საბჭოთა რეჟიმების შვილები და შვილაშვილები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებებს, თუ როგორ გადაიაზრეს და როგორ გამოიკვლიეს წარსულის თუნდაც ყველაზე მძიმე და სისხლიანი ადგილები, ტერიტორიები, მონუმენტები თუ სხვა ფორმატის მემკვიდრეობა. ქართველებიც ვესწრებოდით, ოღონდაც ჩვენ ვერაფერს ვუზიარებდით, გარდა იმისა, თუ რამდენად რადიკალური, ანუ არაკვალიფიციური იყო და არის ჩვენი დამოკიდებულება და ქმედება წარსულის მემკვიდრეობის მიმართ. მაგალითისთვის, სულ ახლახან ვანგრიეთ არქიტექტურული ძეგლები, რათა წაგვეშალა წარსული, წაგვეშალა მონაწილეობა ამ წარსულში. იქვე გავხსენით ოკუპაციის მუზეუმი, რომელიც ვიზუალურ მასალაზეა ორიენტირებული და ფუნდამენტად არ აქვს გახსნილ-დამუშავებული არქივები. შესაბამისად, რაღაც ჩანს (რეპრესირებული ინტელიგენცია) და რაღაც არა (თუნდაც გამქრალი გლეხობა). რაც მთავარია, არ ჩანს ქართველების მონაწილეობა რეჟიმის შენებაში, ჩანს მხოლოდ ქართველობა - მსხვერპლი, რაც ასევე ნაკლია მუზეუმის, თუმცა გამოსწორებადი. გადის 2-3 წელი და გამოდიან ადამიანები ამ მუზეუმის დახურვის მოთხოვნით - კონტექსტის გაღრმავება-დახვეწისა კი არა, გაუქმების, რადგანაც ეს N საზოგადოება აბსოლუტურად დარწმუნებულია (ან დაარწმუნეს), რომ ეს წარსული სულაც არ იყო ცუდი და რომ საქართველო რეჟიმის მსხვერპლი არ ყოფილა. ანუ მთავარი - გამოხატეს სურვილი, რომ რუსეთისადმი, როგორც ისტორიული ოკუპანტისადმი, ბრალდება გამქრალიყო. სიმართლე რომ ვთქვათ, ამ N საზოგადოებას ბოლომდე არც ერთი საკუთარი განცხადებისა არ სჯეროდა, მხოლოდ სხვების მიერ მართულ დინებას მიჰყვებოდა სარგებელისთვის. მუზეუმი ვერ დახურეს, მაგრამ სტალინის ხატი დაიბრუნეს და სულ მალე ასევე არაინფორმირებულ საზოგადოებას აიძულებენ, ამ ხატთან ერთად იცხოვროს, საკუთარ გარემოში მიიღოს. ხატის - ამ შემთხვევაში ქანდაკების ურბანულ სივრცეში შესვლა ყოველთვის საკმაოდ სერიოზული გავლენის მომტანია იმ საზოგადოებისთვის, რომელიც მართულია და არ არის საკუთარი აზრით საკუთარი გარემოს გარდამქმნელი.

ბერლინში შეხვედრაზე, ყველა საკუთარ გამოცდილებაზე საუბრობდა, ჩვენ კი, როგორც მოგახსენეთ, ვსაუბრობდით პრობლემებზე. ეს მეტისმეტად განსხვავებული რამ არის. აუდიტორია კი, რომლის დიდ ნაწილსაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქეები წარმოადგენდნენ, ერთხმად საუბრობდა იმაზე, თუ რამდენად დიდია საქართველოში დაუმუშავებელი მასალა და რამდენად მნიშვნელოვანია ეს მასალა დანარჩენი მსოფლიოსთვის.

დანარჩენი მსოფლიო იქით იყოს. საბჭოთა წარსულის კვლევა დღის წესრიგში არ დამდგარა საქართველოში, რომელსაც ეს პირველ რიგში სჭირდება საკუთარი იდენტობის გაგებისთვის და მითოლოგიიდან გამოსვლისთვის. მაგრამ აქ სხვა რამეც არის მნიშვნელოვანი. საბჭოთა რეჟიმის კრიტიკული ანალიზის აუცილებლობა არ დამდგარა რუსეთში და არც ერთ პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის პოსტსაბჭოთა ქვეყანაში. სამაგიეროდ საბჭოთა წარსულის მსხვერპლის, ამ წარსულში მონაწილეობისა და ამ წარსულის მემკვიდორეობის კვლევის თვალსაზრისით ძალიან აქტიურობენ ბალტიისპირეთის ქვეყნებში და პოლონეთში - იქ სადაც სახელწმიფოებმა მიიღეს გადაწვეტილება, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი ისეთივე ბოროტება იყო კაცობრიობის წინაშე, როგორც ნაციზმი და ფაშიზმი. ამ ქვეყნებში სახელმწიფოები აფინანსებენ ისტორიის კვლევით ცენტრებს, კულტურის და ხელოვნების დარგებში საბჭოთა მემკვიდრეობის იდენტიფიცირებისთვის. სწორედ ასეთ ქვეყნებში ნახა ბატონმა გურამ ოდიშარიამ ლენინისა და სტალინის ძეგლები და ეს ნახა სამუზეუმო ეზოებში და სამუზეუმო სივრცეებში.

უახლოეს წარსულში, როდესაც საზოგადოება და კულტურის მკვლევარები საბჭოთა კულტურის სიმბოლოებისა და ძეგლების შენარჩუნებას ვითხოვდით, ვგულისხმობდით სწორედ ასეთი ცენტრების ან თუნდაც ერთი ცენტრის შექმნას, რომელიც დაადგენდა, სად, როგორ და რა ფორმით მომხდარიყო მათი დაცვა ისტორიის შენარჩუნებისთვის. იმიტომ, რომ წაშლილ წარსულს ვერ გამოიყენებ გამოცდილებად. ის დარჩება კომპლექსების, ფობიების და, რაც ყველაზე საშიშია, მითების და ზღაპრების წყაროდ. მაგრამ ეს მოთხოვნა არ არის ტოლფასი სტალინის საკულტო ძეგლის ქალაქში დაბრუნებისა. სტალინის აწმყოში დაბრუნებაზე ფიქრობენ პუტინი და მისი მომხრეები. ჩვენთან მხოლოდ სტალინისტები და კიდევ ის ქართველები, რომლებსაც შემორჩათ პატარა ქვეყნის კომპლექსი დიდი იმპერიის წინაშე. როცა ეამაყებათ ქართველის წარმატება, რა ტიპის წარმატებაც არ უნდა იყოს ეს. მაგრამ ასეთი ფობია თუ კომპლექსი სახელმწფიო გადაწყვეტილების და ქალაქის იერისა შექმნის პროცესში გადამწყვეტი არ უნდა იყოს, თუკი ის არ ემთხვევა სახელმწიფოს ხედვას.

საერთაშორისო ექსპერტების სტატისტიკური ანალიზის მიხედვით, საქართველო ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას უსწრებს სტალინის მოყვარულთა რაოდენობის მაჩვენებლით. მაგრამ გავუბედოთ ერთმანეთს სიმართლე: ეს მაჩვენებელი პირდაპირ ტოლია საზოგადოებაში უცოდინროებისა და გაუნათლებლობისა.

დასავლეთი არასდროს მიიღებს თავის ოჯახში ქვეყანას, სადაც ერის სულიერი მამა აქებს ტირანს, რომელმაც მთლიანობაში იმაზე მეტი ადამიანი შეიწირა, ვიდრე ჰიტლერმა; არასდროს მიიღებს ქვეყანას, სადაც დაბნეული საზოგადოება რომანტიკაში ახვევს სისხლიანი საბჭოთა რეჟიმის ავტორს და ამ პროცესს სახელმწიფო ლეგიტიმურს ხდის, აღორძინებს რა გორში სტალინის კულტს.

„მეცნიერები გისოსებს მიღმა“ - „ტრაქტორების საქმის“ ფინანსური დეტალები და განსხვავებული ფასები

„ტრაქტორების საქმის“ პროცესზე გუშინ სასამართლომ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. „ზეტორის“ ფირმის კატალოგი, რომელიც ბრალდების მხარეს საქმეში მტკიცებულებად ჰქონდა ჩადებული, მოსამართლე ჯორბენაძემ დაუშვებლად ცნო. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მტკიცებულება სამართლის წარმოების ენაზე არ იყო წარმოდგენილი. შეგახსენებთ, რომ „ზეტორი“ სწორედ ის ფირმაა, რომლის გამოც პროკურატურა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ედავება.

გუშინვე, პირველად სამართალწარმოების ისტორიაში, ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა, პატიმრობაში მყოფი კიდევ 2 პირის (ვაჟა ნახუცრიშვილი და გივი ქაიხოსროშვილი) გირაოს გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლების შესახებ, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. პროკურატურამ გირაოს თანხად 15 000 ლარი მოითხოვა, სასამართლომ კი ბრალდებულებს 10 000 ლარის გადახდა დააკისრა.

110 ცხენისძალიანი „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორი და 115 ცხენისძალიანი „ზეტორი“ - ე. წ - „ტრაქტორების საქმის“ აღძვრის და 9 პირის, მათ შორის 5 მეცნიერის დაკავების საფუძველი გახდა.

რა მტკიცებულებები აქვს პროკურატურას და რის საფუძველზე დააპატიმრეს ქართველი მეცნიერები, რომელთა გირაოთი გამოშვებას ახლა თავად ბრალდების მხარე ითხოვს?

ბრალდების თანახმად, დაკავებული პირებისთვის: ვ.ნახუცრიშვილისთვის, მ.ივანიაძისათვის, ბ.თეთვაძისათვის, ო.თედორაძისათვის, ო.ქარჩავასათვის და ზ.მახარობლიძისთვის 2012 წლის 11-13 დეკემბერს ჩატარებული კვლევების შედეგად ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მიწის დამუშავებისათვის საკმარისი იყო 110 ცხენის ძალის სიმძლავრის მქონე „New-Holand TD5-110“ მარკის ტრაქტორების შესყიდვა, რომლის ერთეულის ფასი შეადგენდა 28 500 ევროს. კომისიის წევრებმა კომპანია „New-Holand“-ისაგან არაერთხელ მიიღეს შეთავაზება. მიუხედავად ამისა, მათ უგულებელყვეს შეთავაზებული წინადადება და არამართლზომიერად მიიღეს გადაწყვეტილება, შეეძინათ 115 ცხენისძალიანი სიმძლავრის მქონე ტრაქტორები. აღნიშნულის შემდეგ ვ.ნახუცრიშვილმა სამუშაო ჯგუფის სხვა წევრების დახმარებით, 2013 წლის იანვრის თვის ბოლოს, შპს „მექანიზატორის“ სახელით, კომპანიებთან „ZETOR“-თან da „CLAAS“-თან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მოახდინა ჯამში 160 ერთეული „ZETOR“-ის (ერთეულის ფასი 35989 ევრო) და „ARION“-ის (ერთეულის ფასი 39850 ევრო) მარკის ტრაქტორების შეძენა, რის შედეგადაც ვ.ნახუცრიშვილმა ო.თედორაძის, ბ.თეთვაძის, მ.ივანიაძის, ზ.მახარობლიძის, ო.ქარჩავასა და სხვა პირების დახმარებით მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგა დიდი ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა 1 055 450 ევროს ოდენობით.

დაცვის მხარის განცხადებით: მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება ბრალდების შესახებ დადგენილებაში მოყვანილი იმ ფორმულირების სინამდვილე, სადაც აღნიშნულია, რომ თითქოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის დ.კირვალიძის 2012 წლის 07 დეკემბრის N2-232 ბრძანებით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნომენკლატურისა და სპეციფიკაციის დამდგენი სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის, 2012 წლის 11-13 დეკემბერს ჩატარებული კვლევების შედეგად ცნობილი გახდა, რომ საქართველოში მიწის დამუშავებისათვის საკმარისი იყო 110 ც.ძ. სიმძლავრის „ნიუს ჰოლანდის“ ტრაქტორების შესყიდვა.

სოსო ბარათაშვილი, ადვოკატი: „ეჭვს იწვევს ბრალდების შესახებ დადგენილებებში მოყვანილი მსჯელობა იმის შესახებ, რომ თითქოს საქართველოში მიწის დამუშავებისათვის საკმარისი იყო 110 ცძ სიმძლავრის მქონე New holand TD 5-110-ის ტრაქტორების შესყიდვა. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ფორმულირება არასწორია და არ ეფუძნება რეალურ არგუმენტებს, ბრალდების მხარის მიერ New holand TD 5-110-ის მარკის ტრაქტორების დასახელება შესყიდვის ერთადერთ შესაძლო ვარიანტად მიუთითებს ბრალდების დადგენილების ავტორთა უაღრეს მიკერძოებულობაზე.“

საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ქართული კომპანია „ჯი-თი გრუპია,“ რომელიც 2007 წლიდან NEW HOLLAND-ის ოფიციალური დილერია საქართველოში.

„ჯი-თი გრუპის“ გენერალური დირექტორი ლევან გოგსაძე ადვოკატ სოსო ბარათაშვილს სიცრუის ტირაჟირებაში ადანაშაულებს:

„გამოძიება „ტრაქტორების საქმეზე“ იმიტომ დაიწყო, რომ შესყიდვა მიკერძოებულად ჩატარდა. ჩვენს შეთავაზებულ გაცილებით უკეთესი ხარისხის ტექნიკაზე უარი თქვეს და დაახლოებით ათი ათასი ევროთი უფრო ძვირად შეისყიდეს „ზეტორის“ ტრაქტორი. ჩვენი შეთავაზებული ტექნიკა რომ უკეთესი ხარისხის იყო, ვიდრე 10 ათასი ევროთი ძვირად ღირებული „ზეტორი“, ეს საგამოძიებო ექსპერიმენტმაც დაადგინა. „ზეტორმა“ მეტი დრო მოანდომა ნაკვეთის დახვნას, მეტი საწვავი დაწვა და მისი ხნულიც უხარისხო იყო. ახლა კი დაცვის მხარე სასაცილო არგუმენტებით ცდილობს, ეჭვქვეშ დააყენოს ექსპერიმენტის შედეგები...

მეორე მხარის ადვოკატი ბარათაშვილი აგრძელებს სიცრუის ტირაჟირებას. მან ჟურნალისტებს გადასცა არასწორი ინფორმაცია, რომ 2013 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შესყიდული ტექნიკა უფრო იაფი იყო, ვიდრე ჩვენ მიერ იქნა მიწოდებული 2007 წელს“.

ლევან გოგსაძის ჩვენების მიხედვით, 130 ცხენისძალის სიმძლავრის ლოტზე (ლოტი 2) „ნიუ ჰოლანდის“ მიერ შეთავაზებული იქნა ორი ალტერნატიული ვერსია.

პირველი - „ნიუ ჰოლანდ“ T6050 , 126 ცხენის ძალის ნომინალური სიმძლავრის ტრაქტორი, რომლის ღირებულება შეადგენდა 48 500 ევროს.

მეორე - „ნიუ ჰოლანდ“ T6050 , 141 ცხენის ძალის ნომინალური სიმძლავრის ტრაქტორი, რომლის ღირებულება შეადგენდა 50 500 ევროს.

როგორც გოგსაძის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით ჩანს, რომელსაც ის ჩვენებაში აძლევს, მათ მიერ შეთავაზებული ტრაქტორების მახასიათებლები არ ემთხვეოდა მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ წინასწარ დადგენილ მოთხოვნებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2012 წელს სამინისტრომ „ნიუ ჰოლანდის“ მარკის ტრაქტორები შეიძინა. 2013-ში კომისიამ „კლასის“ და „ზეტორის“ ტექნიკას მიანიჭა უპირატესობა. ამ ორი წლის განმავლობაში შეძენილი ტრაქტორების ტექნიკური მახასიათებლების და ფასების შედარებისას ორივე კომპონენტში მიმდინარე წელს შეძენილი ტექნიკის უპირატესობა იკვეთება.

2012 წელს 125 ცხენის ძალის მქონე „ნიუ ჰოლანდის“ მარკის ტრაქტორში სახელმწიფომ **46 000 ევრო** გადაიხადა, **2013-ში კი** 135 ცხენის ძალის სიმძლავრის „კლასში“ **42 600 ევროა** გადახდილი.

2013 წელს 136 ცხენის ძალის სიმძლავრის „ზეტორის“ მარკის ტრაქტორები სამინისტრომ **41 700 ევროდ** იყიდა. თვალნათლივ ჩანს, რომ 2013-ში უფრო მძლავრი ტრაქტორები შედარებით დაბალ ფასშია შეძენილი.

გიორგი ჩხეიძე*(სატენდერო კომისიის თავმჯდომარე)***:** „მიმაჩნია, რომ შესყიდვის პროცესში არანაირი შეცდომა არ ყოფილა დაშვებული. მართალია, თურქული წარმოების „ნიუ ჰოლანდის“ მახასიათებლები არ ემთხვეოდა მეცნიერების და სპეციალისტების მიერ წინასწარ დადგენილ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, მათი შესყიდვა საერთოდ არც განიხილებოდა. გასულ წლებში ტენდერი არ ჩატარებულა. შესყიდვები პირდაპირი მიყიდვის წესით ხორციელდებოდა. წელს ჩვენ შევძელით სპეციფიკაციებით დადგენილი ხარისხიანი ტექნიკა შეგვეძინა დაბალ ფასში. მე მომწოდებლებისგან მაქვს ინფორმაცია, რომ ასეთ დაბალ ფასად ისინი ტექნიკას სხვაგან არ ყიდიან.“

განათლება - პრიორიტეტი ეკონომიკის განვითარებისთვის

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ (MCC) 2013 წლის ივლისში უკვე ოფიციალური ხელმოწერით დაადასტურა საქართველოსთვის 140 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ხუთწლიანი პროგრამის კომპაქტის გამოყოფა. პროგრამა ქვეყანაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიის დარგში განვითარებას მოხმარდება.

განათლება ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ახალი პრიორიტეტია. პირველი კომპაქტი მთლიანად ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას გულისხმობდა: 395 მილიონი შემდეგი მიმართულებებით დაიხარჯა - სამცხე-ჯავახეთის გზა; მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია; აგროპროექტები და რეგიონული ინფრასტრუქტურა.

განათლების შერჩევა მთავარ პრიორიტეტად მართლაც არ ყოფილა შემთხვევითი. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურად ყველა სოციალური გამოკითხვა ადასტურებს, რომ დღეს ქვეყნის მთავარი პრობლემა უმუშევრობაა. ამ თემამ ადგილები ჩამოართვა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა თუ ა.შ. უმუშევრობის მიზეზების კვლევისას კი სპეციალისტები ხშირად მიდიან აზრამდე, რომ განათლების ხარისხი და კვალიფიციური კადრების დეფიციტი ქვეყანაში ინვესტიციების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას წინაღობას უქმნის.

MCC-ის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ ანალიზი განახორციელა და დადგინდა, რომ ადამიანური კაპიტალის არსებული დონე ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორია, რაც განსაკუთრებით იგრძნობა მეცნიერებაში, ტექნოლოგიის დარგში, საინჟინრო სფეროსა და მათემატიკაში (science, technology, engineering, and math - STEM).

განათლების როლზე საქართველოს, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებაში, ძალიან საინტერესო ინფორმაციას იძლევა კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI). ეს ინდექსი იმ ფაქტორების ანალიზს ახდენს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნისთვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსს (GCI) განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი და იგი ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. რეტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. ინდექსი განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელებისთვის ხელშესაწყობად.

ეს ინდექსი ერთ-ერთია, რომელიც ადასტურებს განათლების პრიორიტეტად ქცევის აუცილებლობას ქვეყანაში და აი, რატომ:

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის 2012-2013 წლის კვლევა 144 ქვეყანას მოიცავს.

2012-13 წლებში საქართველოს მდგომარეობა 2011-12 წლებთან შედარებით შემდეგნაირად შეიცვალა:

1. ძირითადი მოთხოვნები - მე-13 ადგილი ქულით 4.63 (გაუმჯობესდა 22 საფეხურით);

2. ეფექტიანობის გამაძლიერებლები - 87-ე ადგილი ქულით 3.84 (გაუმჯობესდა 2 საფეხურით);

3. ინოვაციისა და განვითარების ფაქტორი - 120-ე ადგილი ქულით 3.00 (გაუარესდა 3 საფეხურით)

ინოვაციასა და განვითარების ფაქტორში გაუარესება ნათელყოფს, რომ ქვეყანა მსოფლიოს განვითარებას ვერ ეწევა და, შესაბამისად, ამ კუთხით მისი კონკურენტუნარიანობა მცირდება.

თუ ცალკეული მიმართულებების მიხედვით გადავხედავთ, სიტუაცია ასეთია:

ჯანდაცვისა და დაწყებითი განათლების კომპონენტში საქართველოს საკმაოდ მაღალი ქულა აქვს პირველადი განათლების კუთხით (მე-7 ადგილი რეიტინგში), თუმცა დაწყებითი განათლების ხარისხით ქვეყანა 91-ე ადგილზეა 144 ქვეყნიდან (3.4 ქულა). რაც მარტივად იმას ამბობს, რომ პირველადი განათლება, მართალია, ყველასთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ ძალიან დაბალხარისხიანია. უმაღლესი განათლებისა და ტრენინგის მიმართულებით კი საქართველოს კონკურენტუნარიანობა ძალიან არახელსაყრელ მდგომარეობაშია 8-ვე შემადგენელ კომპონენტში: მეორადი განათლება - 80-ე ადგილი (86.2 ქულა); პროფესიული განათლება - 77-ე ადგილი (28.2 ქულა); საგანმანათლებო სისტემის ხარისხი - 114-ე ადგილი (3 ქულა); მათემატიკური და სამეცნიერო განათლების ხარისხი - 101-ე ადგილი (3.5 ქულა); მენეჯმენტის სკოლების ხარისხი - 110-ე ადგილი (3.6 ქულა); სკოლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა - 65-ე ადგილი (4.3 ქულა); სამეცნიერო და სატრენინგო მომსახურების ადგილობრივი შესაძლებლობები - 119-ე ადგილი (3.3 ქულა); ადამიანური რესურსების დატრენინგება -1 01-ე ადგილი (3.6 ქულა).

შეგახსენებთ, რომ შეფასება 10-ბალიანი სისტემით ხდება. ამ ფონზე განსაკუთრებით მძიმედ გამოიყურება ინოვაციის მაჩვენებელი: ინოვაციიური შესაძლებლობები - 142-ე ადგილი (1.9 ქულა); სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი - 143-ე ადგილი (1.9 ქულა); კომპანიის ხარჯი კვლევასა და განვითარებაზე - 144-ე ადგილი (1.7 ქულა); ინდუსტრიული ინსტიტუტების მონაწილეობა კვლევასა და განვითარებაში - 143-ე ადგილი (1.9 ქულა); განვითარებული ტექნოლოგიური პროდუქციის სამთავრობო შესყიდვები - 143-ე ადგილი (2.1 ქულა); მეცნიერების და ინჟინრების არსებობა - 140-ე ადგილი (2.7 ქულა); პატენტებით სარგებლიანობა - 106-ე ადგილი (0 ქულა);

ცხადია, თუ უკუგების თვალსაზრისით მივუდგებით, განათლებაზე პრიორიტეტის გაკეთებას შეიძლება, ქვეყნისთვის გაცილებით დიდი უკუგება ჰქონდეს, ვიდრე საყოველთაო ჯანდაცვას (მიუხედავად ბენეფიციარების ეკონომიკური საჭიროებისა) ან სუბსიდირების საკმაოდ გავრცელებულ პროგრამებს ქვეყანაში. თუმცა, იმის გამო, რომ ეს ხარჯი ეფექტს საკმაოდ ხანგრძლივი ვადის შემდეგ იძლევა, მთავრობები ხშირად არჩევანს უფრო მოკლევადიანი ეფექტის მქონე და მალე ხელშესახებ პრიორიტეტებზე აკეთებენ.

რამდენად არის გააზრებული განათლების მნიშვნელობა ქვეყანაში, ამაზე წარმოდგენას საბიუჯეტო ხარჯებიც იძლევა. დღეს განათლების დაფინანსების წილი მშპ-ში 3,2 პროცენტია, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით» განვითარებული ქვეყნები ხარისხის უზრუნველყოფისთვის მშპ-ს, მინიმუმ, 4 პროცენტს ხარჯავენ. თუ ვებგვერდ www.priceofthestate.ge-ს დავეყრდნობით და ამ ხარჯს თითოეულ დასაქმებულზე და თითოეულ მოქალაქეზე გავთვლით, ასეთ სიტუაციას მივიღებთ: განათლება მეტად პრიორიტეტულია, ვიდრე ჯანდაცვა ან თავდაცვა, ნაკლებად - ვიდრე წესრიგის დაცვა და ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსება. მნიშვნელოვანი სხვაობაა სოცუზრუნველყოფის დაფინანსებისა და განათლების დაფინანსების მაჩვენებლებში. თუ საქართველოში სოციალურ უზრუნველყოფაზე ერთ სულ მოსახლეზე 444 ლარი იხარჯება (რაც ერთ დასაქმებულზე 3004 ლარს შეადგენს) და ეს თანხები სამი წლის განმავლობაში (2011-2012-2013) პროგრესირებადი იყო, განათლებაზე ერთ სულ მოსახლეზე 182 ლარი იხარჯება (1232 ლარი ერთ დასაქმებულზე) და სამწლიანი მრუდი გაცილებით ნაკლებად ზრდადია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკის თანახმად, განათლების სფეროში დასაქმებულთა ხელფასი, ყველა სხვა სფეროს საშუალო ხელფასთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალია, რაც განათლების ხარისხზე უდავოდ აისახება.

შესაბამისად, ამ სიტუაციაში მართლაც მნიშვნელოვანია, რომ MCC-ის 140 მილიონი აშშ დოლარი განათლების სფეროს განვითარებას მოხმარდება.

მეორე კომპაქტი სამი პროექტისგან შედგება.

ესენია: «ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროექტი», რომლის მიზანიცაა გაზარდოს ზოგადი განათლების ხარისხი სკოლების რეაბილიტაციის, მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის მომზადებისგზით; «სამრეწველო უნარ-ჩვევების და სამუშაო ძალის განვითარების პროექტი», რომელიც მიზნად ისახავს ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას შესაბამისი ტექნიკური უნარების მქონე საქართველოს მოქალაქეებით; «STEM-ის უმაღლესი განათლების პროექტი», რომლის მიზანია ერთი ან მეტი ამერიკული უნივერსიტეტის პარტნიორების მოზიდვა მეცნიერების, ტექნოლოგიის, საინჟინრო და მათემატიკური განათლების მოდერნიზებისა და მაღალი ხარისხისპ როგრამების შეთავაზებით.

ცხადია, ეს პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ამ სფეროს ასევე პრიორიტეტად აღიარების გარეშე, შესაძლოა, სიტუაციის რადიკალურად გარდამტეხი ვერც გახდეს, თუმცა პროექტის ეფექტიანობის შესაფასებლად ძალიან საინტერესო იქნება, რამდენად აისახება მისი განხორციელება საქართველოს კონკურენტუნარიანობის ინდექსზე და მასში განათლების მიმართულებებზე.

„დილა" ფლეი ოფშია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გორელებმა ზუსტად ასე წარმართეს შეხვედრა, მაგრამ პარალელურად მეტოქეს სივრცე შეუზღუდეს და სახიფათო იერიშების წარმართვის საშუალებას არ აძლევდნენ. დევდარიანის ფეხბურთელები კარგად კეტავდნენ პერიმეტრს, სწრაფად გადადიოდნენ კონტრშეტევებზე და მეტოქეს აიძულებდნენ შეტევის მადა მოეთოოკა. ამან განაპირობა, რომ ხორვატებმა ვერ შექმნეს სახიფათო მომენტები მეკარე რევიშვილის კართან და პირიქით გორელთა იერიშები სულ უფრო მწვავდებოდა. შეტევის ხაზზე კარგად ირჯებოდნენ «დილას» შემტევები: ილურიძე და მოდებაძე. მათ მეტოქის მცველები მუდმივ წნეხში ჰყავდათ. ამ ტაქტიკამ გაამართლა და გამოიკვეთა სურათი, როცა მასპინძლები სტუმრებს თამაშით აშკარად სჯობდნენ და უფრო მეტი სახიფათო მომენტიც შექმნეს.

სპლიტური მატჩისგან განსხვავებით დევდარიანის შეგირდებმა აშკარად შეუზღუდეს მეტოქეს სივრცეები. მათ თავისუფლად ბურთის მიღების საშუალებას არ აძლევდნენ და ხორვატებიც ჩიხში მოექცნენ. გორელები ძალიან ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე «დილამ» 4 თამაში ისე მოიგო, გოლი არ გაუშვია და ვიმედოვნებთ, რომ თუკი «დილას» «ოლბორგის» და «ჰაიდუკის» კალიბრის გუნდების დამარცხება ხელეწიფება, იღბლიანი კენჭისყრის შემთხვევაში, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლასაც შესძლებს.

მეორე ტაიმში გორელთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. ქართველმა ფეხბურთელებმა ირწმუნეს, რომ ამ ეტაპზე ხორვატებზე უკეთ თამაშობენ და რამდენიმე საგოლე მომენტი კიდევ შექმნეს. გამარჯვების გოლი კი შეხვედრის დასრულებამდე 7 წუთით ადრე, ლამაზი კომბინაციის შედეგად, გრიგოლ დოლიძემ გაიტანა.

დილა - ჰაიდუკი 1:0 (2:0)
გოლი: 1:0 - დოლიძე (83`)

საქართველო ფიფას რეიტინგში საფეხურით დაწინაურდა

ფიფას აგვისტოს რეიტინგში საქართველოს საფეხბურთო ნაკრები, ივლისთან შედარებით, ერთი საფეხურით დაწინაურდა 369 ქულით 97-ე ადგილზეა.

თემურ ქეცბაიას გუნდს ერთი თვის განმავლობაში არ უთამაშია, ამიტომაც ჩვენ ნაკრებს კვლავ იგივე ქულათა მაჩვენებელი აქვს.

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეთაგან ესპანეთი კვლავ მოწინავე ადგილზეა, საფრანგეთიც და ფინეთიც, შესაბამისად, უცვლელად, 23-ე და 65-ე საფეხურებზე არიან. ერთადერთი, ვისაც ჩვენი ჯგუფიდან ცვლილება შეეხო, ბელარუსია, რომელიც 78-ე ადგილიდან 73-ზე დაწინაურდა.

ცვლილებები არ შეხებია პირველ ათეულს. ესპანელებს 1 484 ქულა აქვთ, მეორე ადგილზე გერმანიის ნაკრებია - 1 257 ქულა. ბევრისთვის მოულოდნელად მესამე საფეხურს ინარჩუნებს კოლუმბია - 1 219. მეოთხეზეა არგენტინა - 1210, მეხუთეზე - ჰოლანდიის ნაკრები - 1 165...

ფიფა/კოკა კოლას რეიტინგის მოწინავე ოცეული:

1 (1). ესპანეთი - 1484
2 (2). გერმანია - 1257
3 (3). კოლუმბია - 1219
4 (4). არგენტინა - 1210
5 (5). ჰოლანდია - 1165
6 (6). იტალია - 1142
7 (7). პორტუგალია - 1099
8 (8). ხორვატია - 1098
9 (9). ბრაზილია - 1089
10 (10). ბელგია - 1079
11 (11). საბერძნეთი - 1038
12 (12). ურუგვაი - 998
13 (14). ბოსნია-ჰერცეგოვინა - 995
14 (15). ინგლისი - 994
15 (16). შვეიცარია - 987
16 (17). რუსეთი - 979
17 (18). ეკვადორი - 972
18 (13). კოტ დ'ივუარი - 962
19 (22). აშშ - 960
20 (20). მექსიკა - 879
...23 (23). საფრანგეთი - 838
...65 (65). ფინეთი - 537
...73 (78). ბელარუსი - 482
...97(98). საქართველო - 369

საქართველოს ნაკრებს 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩამდე 14 აგვისტოს ყაზახეთთან ამხანაგური მატჩი აქვს. 6 სექტემბერს, შესარჩევის ფარგლებში, ქეცბაიას გუნდს თბილისში საფრანგეთთან უწევს თამაში, 10 სექტემბერს კი - ფინეთთან.

ბეისბოლისტი

ᲖᲣᲠᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ჯიმ კურიე ჩოგბურთს ბეისბოლისტის მუღამით, ბეისბოლისტის მოძრაობებით თამაშობდა. სთრაიქ ზონაში ჯიმი ყველა გამოშვებულ ბურთზე არ იქნევდა ჩოგანს. კურიეს ჰოუმ რანები კლასიკა იყო. ჯიმიც კლასიკა იყო. ჩოგბურთის კლასიკა და მისტერ კურიემ ერთი სეზონით (1992) ჩოგბურთის თეთრი სახლი აითვისა. ამერიკელი როიალურ ტერიტორიაზე შევიდა და წამოწვა. კურიე იგებს და კურიე იგებს აგრესიით. კურიე იგებს და სხვები ტკივილით იფარებიან. კურიე იგებს და ეს ლოგიკური, ჩვეულებრივი თემა იყო. კურიეს უნდა მოეგო და იგებდა. და ჯიმმა იმ ერთი სეზონით ბოდიში მოუხადა სხვა კარგ ბიჭებს - სტეფან ედბერგს, პიტ სამპრასს, გორან ივანიშევიჩს, ბორის ბეკერს, მაიკლ ჩანგს, მიხაელ შტიხს. ბოდიში მოუხადა ძმაკაცს, ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიის კიდევ ერთ წარმატებულ სტუდენტს, ანდრე აგასის და ჯიმმა იმ სეზონში ბევრი მოიგო. გადავხედოთ.

69 მოგებული ტესტი. 18 ვერმოგებული. 5 ჯეკპოტი. 5 მოგებული ფინალი. ერთეულებში. ჯიმიმ 18 თვეში ითამაშა სეკა ედბერგთან, სამპრასთან და 52 კვირით თეთრი სახლის ლოჟა დაიტოვა. 52 კვირა რეიტინგის პირველ ნომრად. კარგი, რეალურად წარმატებული თემა. კურიემ პირველი ადგილი 1992 წლის 10 თებერვალს გაშანსა. ჩვეულებრივ ტურნირზე (სან ფრანცისკო), ჩვეულებრივ ამერიკელთან (დერიკ როსტანიო), ჩვეულებრივ ნახევარფინალში (4:6, 6:3, 6:2). კურიემ პირველი ადგილი მისტერ ედბერგს წაართვა. და ჯიმიმ დაისვენა.



ჯიმ კურიე

კურიე მანამდე ავსტრალიაში ჩადის და კოალების სლემს (Australian Open) იგებს. პროცესში გაიარა 6 კარგი ბიჭი. ჯიმის ჩელენჯერები კარიერის სხვადასხვა ეტაპზე იყვნენ, მაგრამ ყველამ გაქაჩა. კურიე მეორე წრეში უგებს ტომას ენკვისტს. შვედი პირველი ათეულის ტიპი გახდება. იმ მომენტში ენკვისტი მეორე ასეულში (190) იჯდა და კურიემ გარჩევა 2:6, 6:3, 6:1, 6:4 დახურა. მესამე წრეში წამოვიდა ტომას მუსტერი (35). ავსტრიელის საფარი გრუნტია. და ჯიმიმ მუსტერი სამ სეტში გადახერხა - 6:1, 6:4, 6:2. მარკ როსე ჯიმის ოლიმპიადაზე, ბარსელონაში მოუგვარებს (4:6, 2:6, 1:6). ოლიმპიადა მოგვიანებით იყო და მელბურნში ორმეტრიანი მარკი არ ჩანდა - 6:3, 6:1, 6:3. ოლიმპიადაზე როსე ჩემპიონი გახდება. მოულოდნელი შედეგი დიდი ბიჭისგან. მეოთხედფინალი ნიჭიერ ებრაელ ამოს მანსდორფთან - 6:3, 6:2, 6:2. ნახევარფინალში ჩაჯდა დიდი ნიდერლანდელი, რიხარდ კრაიჩეკი, რომელიც 4 წლის შემდეგ მოიგებს უიმბლდონს. რომელმაც ტრავმის გამო ვერ ითამაშა და ჯიმი ეგრევე ფინალში გავიდა. ბოლო დონეზე გავიდა ედბერგიც. ბოლო დონეზე სტეფანმა ერთი სეტი დაიტოვა. ჯიმიმ - 3. 6:3, 3:6, 6:4, 6:2. კურიე ბოსია. და ედბერგმა ეს იცის. ჯიმიმაც.

იმ სეზონში კურიემ რამდენიმე ბლოკბასტერში მიიღო მონაწილეობა.

ბრიუსელის ფინალი. ბეკერთან. 7:6 (5), 6:2, 6:7 (10), 6:7 (5), 5:7. ბეკერი დგას, ჯიმი ჩამოჯდა და ბოლო სოლო გერმანელმა დაუკრა. ბოლო აკორდი ტენეტონური, რამშტაინული იყო.

შტუტგარტის მეოთხედფინალში კურიეს ივანიშევიჩმა აარტყა. 6:3, 6:7 (2), 6:7 (8). ბეკერთან ჯიმის 4 მატჩ პოინტი აქვს. გორანთან - 2. და ჯიმიმ ორივე ტესტი ჩააგდო. მერე რა.

იწყება კურიეს ნაუგებელი სერია. 25 მოგებული გარჩევა. ბევრია. სამპრასები და ფედერერები მეტს იგებდნენ და ჯიმიმ ეს სერია დასვა.

პირველი რაუნდი. ტოკიო. ფინალში, კრაიჩეკთან. 6:4, 6:4, 7:6 (3).

მეორე რაუნდი. ჰონგ კონგში. ისევ ჰარდზე. მაიკლ ჩანგთან, 7:5, 6:3. კურიემ ორივე ტურნირი სეტის ნაუგებლად დაირტყა. ჯიმიმ აკრიფა.

მესამე რაუნდი, მასტერსი, რომში. გრუნტზე. ბოლო თამაში კარლოს კოსტასთან და ესპანელი გაიშიფრა - 7:6 (3), 6:0, 6:4. კლასიკა. ჯიმისგან. კურიე დაუნდობელი იყო.

და ბოლო აკორდი. როლან გარო. 7 თამაშში კურიემ 1 სეტი წააგო. ჯიმის მეოთხედფინალში ის სეტი ივანიშევიჩმა წაართვა. ბოლო ორი თემა მკვლელი იყო. ჯერ ნახევარფინალში, აგასისთან - 6:3, 6:2, 6:2. ფინალში, პანკ ჩეხ პეტრ კორდასთან ჯიმი ტრანსფორმერია - 7:5, 6:2, 6:1. ჯიმიმ უიმბლდონზე პირველი ორი წრეც გაიარა და მერე წააგო რეიტინგის ცუდ (193) ნომერთან, ანდრეი ოლხოვსკისთან. რომელიც იყო რუსი. რომელმაც ჯიმის 4:6, 6:4, 4:6, 4:6 დაუტოვა. სერია დაიხურა. სეზონის ბოლომდე ჯიმ კურიემ ტურნირი ვერ მოიგო. სეზონის ბოლომდე ჯიმიმ პირველი ადგილი შეინარჩუნა. ბევრი წაგებული მატჩის მიუხედავად. კურიე სხვებზე უკეთესი, უფრო სტაბილური და კრეატიული ახალგაზრდაა.

სეზონის ბოლო სერიოზული ტურნირი ATP-ს მსოფლიო ჩემპიონატია. იქ ჯიმიმ ჯგუფში გასერა კრაიჩეკი 6:7 (4), 7:6 (1), 7:5, წააგო ივანიშევიჩთან 3:6, 3:6 და გადაიკითხა ჩანგი 7:5, 6:2. ნახევარფინალში მოხვდა სამპრასს 7:6 (5), 7:6 (4). ფინალში, დიუსელდორფის კორტებზე, ფინალი გერმანელმა, ბეკერმა დაიტოვა. 6:4, 6:3, 7:5. ჯიმიმ სეზონი რეიტინგის პირველ ნომრად დაასრულა. ჯიმი ისტორიაში შევიდა.

ჯიმ კურიე ჩოგბურთს ბეისბოლისტის მუღამით, ბეისბოლისტის მოძრაობებით თამაშობდა. სთრაიქ ზონაში ჯიმი ყველა გამოშვებულ ბურთზე არ იქნევდა ჩოგანს. კურიეს ჰოუმ რანები კლასიკა იყო. ჯიმიც კლასიკა იყო. ჩოგბურთის კლასიკა და მისტერ კურიემ ერთი სეზონით (1992) ჩოგბურთის თეთრი სახლი აითვისა. ამერიკელი როიალურ ტერიტორიაზე შევიდა და წამოწვა. კურიე იგებს და კურიე იგებს აგრესიით. კურიე იგებს და სხვები ტკივილით იფარებიან. კურიე იგებს და ეს ლოგიკური, ჩვეულებრივი თემა იყო. კურიეს უნდა მოეგო და იგებდა. და ჯიმმა იმ ერთი სეზონით ბოდიში მოუხადა სხვა კარგ ბიჭებს - სტეფან ედბერგს, პიტ სამპრასს, გორან ივანიშევიჩს, ბორის ბეკერს, მაიკლ ჩანგს, მიხაელ შტიხს. ბოდიში მოუხადა ძმაკაცს, ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიის კიდევ ერთ წარმატებულ სტუდენტს, ანდრე აგასის და ჯიმმა იმ სეზონში ბევრი მოიგო.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink